„ჩონგური საქართველოა, სიმღერა ჩვენ ვართ ყველანი“

ოლხეთი

გამოდის 1923 წლის 1 მაისიდან

სენაკის მუნიციპალიტეტის თავისუფალი გაზეთი

2025 წელი • №7-8 (9597-98) • 1-30 აპრილი • ფასი 1 ლარი და 40 თეთრი

20 აპრილი – აღდგომა

ქრისტე აღდგა! გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს

სააღდგომო ნობათები

სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებული, დავით ვერავა, რწმუნებულის მოადგილე, გიორგი ნადარაია, სენაკის მუნიციპალიტეტის მერთან, ვახტანგ გადელიასთან და მერის მოადგილესთან, ნანა ზარანდიასთან ერთად, სენაკში, მზრუნველობამოკლებულთა კვების ცენტრის ბენეფიციარებს შეხვდნენ; ცენტრის დირექტორთან, ლევან ტყებუჩავასთან ერთად, არსებულ საჭიროებებსა და დაგეგმილ სიახლეებზე ისაუბრეს;

ბენეფიციარებს დამდეგი აღდგომა მიულოცეს და სადღესასწაულო ნობათები გადასცეს.

სასაჩუქრე ნობათები კვების ცენტრის 235 ბენეფიციარმა და მათმა ოჯახებმა მიიღო.

სადღესასწაულო ნობათში 10 სხვადასხვა სახეობის პროდუქტია და ღირებულება 11 900 ლარს შეადგენს.

მუნიციპალიტეტის მერიაში

დასავლეთისა და აღმოსავლეთის სარდლობების დაარსების დღე

საქართველოს თავდაცვის ძალების დასავლეთისა და აღმოსავლეთის სარდლობების დაარსების დღესთან დაკავშირებით, საქართველოს პრეზიდენტი, მიხეილ ყველაშვილი, სენაკის მე-2 ქვეით ბრიგადაში საზეიმო ღონისძიებას დაესწრო. ქვეყნის უმაღლეს მთავარსარდალს, საქართველოს ვიცე-პრემიერმა, თავდაცვის მინისტრმა, ირაკლი ჩიქოვანმა და თავდაცვის ძალების მეთაურმა, გენერალ-მაიორმა, გიორგი მათიაშვილმა საიუბილეო ცერემონიაზე უმასპინძლეს. ღონისძიებას სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებული, დავით ვერავა, სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, სხვა ოფიციალურ პირებთან ერთად დაესწრნენ. პრეზიდენტმა და თავდაცვის უწყების ხელმძღვანელმა პირებმა, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში დაღუპული სამხედროების ხსოვნას პატივი მიაგეს და გმირთა მემორიალი გვირგვინით შეამკეს. მათ, პირად შემადგენლობას, სარდლობების იუბილე მიულოცეს და ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის კიდევ უფრო გაძლიერების საქმეში წარმატებები უსურვეს. ღონისძიების ფარგლებში, უწყების ხელმძღვანელებმა, პირადი შემადგენლობის წარმომადგენლები უწყებრივი მედლებითა და საჩუქრებით დააჯილდოვეს.

36 წელი 9 აპრილის ტრაგედიიდან

9 აპრილი - ჩვენი ქვეყნის უახლოესი ისტორიის უმნიშვნელოვანესი თარიღი - ორ მოვლენას აერთიანებს - 1989 წლის 9 აპრილის სისხლიან კვირას და 1991 წლის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის ისტორიულ დღეს. ,,მადლობა თავისუფლებისთვის", ,,მადლობა სამაგალითო ერთობისთვის..." – 36-ე 9 აპრილის გზავნილმა სენაკშიც გაიჟღერა. სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა, ვახტანგ გადელიამ, საკრებულოს თავმჯდომარემ, საბა ოდიშარიამ, მერის პირველმა მოადგილემ, ბადრი ქუთელიამ, მერის მოადგილემ, ნანა ზარანდიამ, საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, ლევან უჩანეიშვილმა, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, ზაზა ნაჭყებიამ, ადგილობრივი თვითმმართველობის, მუნიციპალური ა(ა)იპ-ების, სენაკის მუნიციპალიტეტის სტუდენტური პარლამენტისა და საზოგადოების წარმომადგენლებმა, 1989 წლის 9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნას პატივი მიაგეს და 9 აპრილის სკვერში, მემორიალი ყვავილებით შეამკეს. იოანე ნათლისმცემლის სახელობის საკათედრო ტაძარში, ტაძრის წინამძღვარმა, დეკანოზმა იოანე კუპრეიშვილმა, 9 აპრილს დაღუპულთა სულების მოსახსენიებელი პანაშვიდი აღავლინა. მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის ახალგაზრდული თეატრის ,,ფიროსმანი" დასი, მაყურებლის წინაშე წარდგა ლიტერატურული კომპოზიციით: ,,9 აპრილის ლექსები - ხეებზე გაკრული ლექსები..." საქართველოს ეროვნული გმირის ჟიული შარტავას მუზეუმში, ქალაქის საჯარო და საბავშვო ბიბლიოთეკებში, გაიმართა თემატური გამოფენები: ,,9 აპრილი - ერის ტრაგედია", ,,სამშობლო სიცოცხლეზე მეტია..." მადლობა–თავისუფლებისთვის, დიდება ჩვენი დროის გმირებს.

დედაენის დღე

47 წელი გავიდა 1978 წლის ისტორიული მოვლენებიდან... - სენაკში, ქართველი ერის თვითმყოფადობისთვის ბრძოლის ისტორიის უმნიშვნელოვანესი თარიღი, დედაენის დღე კიდევ ერთხელ გაიხსენეს. სენაკის სამხატვრო ხელოვნების გალერეაში, საქართველოს სტუდენტური პარლამენტისა და მთავარობის ქალაქ სენაკის წარმომადგენლობისა და პროექტის ინიციატორის, მერის თანაშემწის, ნიკოლოზ ქეცბაიას ორგანიზებით, დედაენის დღისადმი მიძღვნილი დისკუსია გაიმართა. აქტივობას ესწრებოდნენ: სენაკის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ნანა ზარანდია, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, ზაზა ნაჭყებია, მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი, გივი მისაბიშვილი, სენაკის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, ელისო შურღაია, განათლების მიმართულებით - მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის სპეციალისტი, ირმა კუპრეიშვილი, საქართველოს სტუდენტური პარლამენტისა და მთავარობის ქალაქ სენაკის წარმომადგენლობა, სენაკელი ახალგაზრდები. ,,ეს დღე ძვირფასია ყველა ჭეშმარიტი ქართველისთვის, მათთვის, ვისაც გაცნობიერებული აქვს, რომ ილიასეული სამება - ,,ენა, მამული, სარწმუნოება'' - არის ჩვენი ეროვნული მრწამსი და არსებობის ქვაკუთხედი. ამასთან, ეს დღე გვავალებს, ვიყოთ ჩვენი ფასდაუდებელი საგანძურის ღირსეული მემკვიდრენი - დავიცვათ, გავუფრთხილდეთ ქართულ ენას" - აღნიშნა სენაკის მეშვიდეცსაჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგმა, მირანდა ცქიტიშვილმა. დედაენის დღეს მიეძღვნა ქალაქის საჯარო ბიბლიოთეკაში გამართული ღონისძიება - ,,ჩვენი ენა ქართული". მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის ორგანიზებით, აკაკი ხორავას სახელობის სახელმწიფო პროფესიულ დრამატულ თეატრში, საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეებისთვის, გაიმართა ისტორიულ -დოკუმენტური სპექტაკლი - ,,განათლება - გზა ხსნისა''. მოსწავლე ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის საკონცერტო დარბაზში, მოსწავლე ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის ორგანიზებით, დედაენის დღისადმი მიძღვნილი თემატური ღონისძიება ჩატარდა.

(გაგრძელება მეორე გვერდზე)

პატივი მიაგეს ჯემალ აჯიაშვილის ხსოვნას

გამოჩენილი ქართველი ებრაელი მწერლის, ჯემალ აჯიაშვილის 81-ე დაბადების დღეს, სენაკში, კიდევ ერთხელ მიაგეს პატივი ჯემალ აჯიაშვილის ხსოვნას და მისი სახელობის სკვერში, მწერლის ბარელიეფი, ყვავილებით შეამკეს. ჯემალ აჯიაშვილის დაბადებიდან 81-ე საიუბილეო თარიღისადმი მიღვნილი ღონისძიებების კვირეულის ფარგლებში, 21 მარტს, ეროვნული გმირის, ჟიული შარტავას სახელობის მუზეუმში მოეწყო სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრის სამხატვრო სკოლის მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა - ,,ნახატები ებრაულ მოტივებზე", გაიმართა რეჟისორ, მიხეილ ჭიაურელის ფილმის ჩვენება, თემატური პრეზენტაციები. ღონისძიებას, სენაკის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ნანა ზარანდია, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, ზაზა ნაჭყებია, მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი, გივი მისაბიშვილი, სენაკის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, ელისო შურღაია, ადგილობრივი თვითმმართველობისა და საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად დაესწრნენ. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წელს, ქალაქ თბილისში, ისრაელის საელჩოს ორგანიზებით, ჰოლოკოსტის მსხვერპლთა ხსოვნის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით გამართულ კონკურსში - ,,80 წელი - ნაცისტური გერმანიის კაპიტულაციიდან", მონაწილეობა სენაკელმა მოსწავლეებმა მიიღეს, რომელთა შორისაა, ხელოვნების ცენტრის სამხატვრო სკოლის პირველი კლასის მოსწავლე, გოგა ბაღათურია. სენაკის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ, ნანა ზარანდიამ, კონკურსის წარმატებულ მონაწილეს სიგელი, კვირეულის ფარგლებში გამართულ გამოფენაზე გადასცა. 17 მარტს, კვირეულის ფარგლებში, სენაკის ხელოვნების გალერეაში თემატური ფოტო გამოფენა გაიხსნა. 18 მარტს, ქალაქის საჯარო ბიბლიოთეკაში, თემატური საღამო გაიმართა. 19 მარტს, მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრში - ჯემალ აჯიაშვილის პოეტური შემოქმედებისადმი მიძღვნილი მხატვრული კითხვის კონკურსი. 20 მარტს, მწერლის მშობლიურ მეორე საჯარო სკოლაში გაიხსნა ჯემალ აჯიაშვილის სახელობის კაბინეტი. საუკუნის ქართველი ებრაელი მწერლის, პოეტის, მთარგმნელის და პუბლიცისტის, საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის ვიცე-პრეზიდენტის, საქართველოს მწერალთა და თეატრალურ მოღვაწეთა კავშირების წევრის, სახელმწიფო პრემიის ლაურეატის, პარიზის ქართულ-ევოპული ინსტიტუტის, ილია ჭავჭავაძის სახელობისა და ივანე მაჩაბლის სახელმწიფო პრემიების ლაურეატის, ღირსების ორდენის კავალერის, სენაკის საამაყო შვილის, ჯემალ აჯიაშვილის დაბადების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების კვირეული, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის, განათლების მიმართულებით - მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის სპეციალისტის, საქართველოს შოთა რუსთაველის საზოგადოების სენაკის ორგანიზაციის თავმჯდომარის, ირმა კუპრეიშვილის ორგანიზებით ჩატარდა.

ჯანმრთელობის საერთაშორისო დღე

7 აპრილს, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ინგა ქარდავა, შპს ,,სენაკის ბავშვთა საავადმყოფოში" იმყოფებოდა.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ბავშვთა საავადმყოფოს დირექტორს, ლუარა დგებუაძეს და სამედიცინო პერსონალს შეხვდა, ჯანმრთელობის საერთაშორისო დღე მიულოცა და საავადმყოფოს კლინიკურ ლაბოლატორიას, უსასყიდლოდ, გლიკოზირებული ჰემოგლობინის (HbA1c) ანალიზატორი გადასცა, რომელიც განსაზღვრავს ბოლო 2-3 თვის განმავლობაში, სისხლში გლუკოზის საშუალო დონეს.

აღსანიშნავია, რომ 2024 წელს, შპს ,,სენაკის ბავშვთა საავადმყოფომ", პაციენტების უსაფრთხოებისა და სამედიცინო ხარისხის მიმართულებით, ამერიკის საერთაშორისო აკრედიტაცია მოიპოვა.

2024 წელს, ასევე სრულად რეაბილიტირდა და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად მოეწყო ბავშვთა საავადმყოფოს ორივე სართული, პოლიკლინიკა, სტაციონარი. საავადმყოფო აღიჭურვა უახლესი სამედიცინო აპარატურით.

კლინიკა, პატარა პაციენტებს და მათ მშობლებს, თანამედროვე ინფრასტრუქტურით, მაღალტექნოლოგიური სამედიცინო დიაგნოსტიკური აპარატურითა და კვალიფიციური მედ.პესონალით, სამედიცინო მომსახურების სრულ სპექტრს სთავაზობს

უფასო სამედიცინო აქცია დევნილი მოსახლეობისთვის

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, ინგა ქარდავას ინიციატივითა და სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, სათემო განათლების ცენტრში, ყოფილ სამხედრო დასახლებაში მცხოვრებ აფხაზეთიდან დევნილ მოსახლეობას, უფასო სამედიცინო პროფილაქტიკური გამოკვლევები ჩაუტარდა. ადეიშვილის კლინიკის ოფთალმოლოგიური დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, თამთა აფხაძემ და უმცროსმა ექიმმა, ამირან ოქროჭელიძემ, დევნილთა კომპაქტური დასახლების ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეებს, სრული ოფთალმოლოგიური - აპარატურული და ინსტრუმენტული კვლევები ჩაუტარეს. სამედიცინო აქციის ფარგლებში, პაციენტებს, საჭიროების შესაბამისად, ჩაუტარდათ ლაბორატორიული და ულტრასონოსკოპიური გამოკვლევები, ვიზომეტრია, რეფრექტომეტრია, ტონომეტრია, მხედველობის სიმახვილის დადგენა, თვალის ფსკერის დიაგნოსტიკა, გლაუკომისა და დიაბეტური რეტინოპათიის სკრინინგი. დღის მანძილზე, სამედიცინო გამოკვლევების მიმდინარეობას, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულლს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, სამედიცინო აქციის ორგანიზატორი, ინგა ქარდავა, სოციალურ საკითხთა კომისიის წევრები - მარინე ნანეიშვილი, დინარა ხარბედია, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სამსახურის დევნილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა მომსახურეობის განყოფილების უფროსი, დემურ ბაღათურია, სენაკის სათემო განათლების ცენტრის ხელმძღვანელი, ნონა ქადარია გაეცნენ. უფასო სამედიცინო აქციით 50-მა დევნილმა მოქალაქემ ისარგებლა.

შეხვედრა სტუდენტური პარლამენტის სენაკის წარმომადგენლობასთან

სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, პირველ მოადგილესთან, ბადრი ქუთელიასთან და მოადგილესთან, ნანა ზარანდიასთან ერთად, საქართველოს სტუდენტური პარლამენტისა და მთვარობის ქალაქ სენაკის წარმომადგენლობას და პროექტის ინიციატორს, მერის თანაშემწეს, ნიკოლოზ ქეცბაიას შეხვდნენ. შეხვედრაზე, ახალგაზრდებმა, მიიღეს დეტალური ინფორმაცია, სენაკის მუნიციპალიტეტში, ახალგაზრდობის ხელმისაწვდომობისა და ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერის მიმართულებით, მიმდინარე, განხორციელებულ და დაგეგმილ პროგრამებსა და პროექტებზე. სენაკელმა ახალგაზრდებმა, მათთვის საინტერესო კითხვებზე ამომწურავი პასუხები მიიღეს. შეხვედრაზე საუბარი ასევე შეეხო ურთიერთთანამშრომლობის ძირითად მიმართულებებს. სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა, ვახტანგ გადელიამ, სახელისუფლო გუნდთან ერთად, საქართველოს სტუდენტური პარლამენტისა და მთვარობის ქალაქ სენაკის წარმომადგენლობასთან შემდგომი თანამშრომლობისთვის, მზაობა გამოთქვა. საქართველოს სტუდენტური პარლამენტისა და მთვარობის ქალაქ სენაკის წარმომადგენლობა, მიმდინარე წლის 6 აპრილს ჩამოყალიბდა. წარმომადგენლობის თავმჯდომარეა ანრი სიჭინავა, მოადგილეები - ზუკა ლემონჯავა და ლიზი სახოკია. შექმნილია შესაბამისი კომიტეტები, რომელთაც სათავეში სენაკელი ახალგაზრდები უდგანან. ინიციატივის მიზანია - ახალგაზრდებში სამოქალაქო ჩართულობის ხელშეწყობა, ლიდერული უნარების განვითარება და დემოკრატიული მმართველობის პრინციპების გაცნობა.

პროექტი - ინოვაციები მცირე და საშუალო ბიზნესში

სენაკის მუნიციპალიტეტის მერიამ, საქართველოში ინოვაციების და ტექნოლოგიების განვითარების მხარდაჭერის მიზნით, საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოსთან, ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა. მემორანდუმს ხელი სენაკის მუნიციპალიტეტია მერმა, ვახტანგ გადელიამ და საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს თავმჯდომარემ, ავთანდილ კასრაძემ მოაწერეს. ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, განხორციელდა სენაკის მუნიციპალიტეტის მერიისა და სენაკის ტექნოპარკის - მენეჯერი, თამარ მალანია, ერთობლივი პროექტი - TechInnovate: ინოვაციები მცირე და საშუალო ბიზნესში. პროექტი სენაკის ტექნოპარკში, 6 აპრილს დაიწყო და 13 აპრილს დასრულდა. 7 დღის განმავლობაში, Master Education-თან ერთად, პროექტის მონაწილეებმა შეისწავლეს: განსხვავება - სტარტაპსა და ტრადიციულ ბიზნესს შორის; როგორ გამოიყენონ ტექნოლოგიები კონკურენტუნარიანობისთვის; როგორ მიიღონ მენტორინგი და უკუკავშირი პროფესიონალებისგან; როგორ წარადგინონ ინოვაციური იდეა ჟიურის წინაშე. ორდღიანი ინდივიდუალური მენტორინგი ციფრულ ტრანსფორმაციაზე, მათ დაეხმარათ, თავიანთი ბიზნესის გაციფრულების ხელსაწყოების შესწავლაში. გამარჯვებული მეწარმეები გამოავლინა ჟიურიმ, შემდეგი შემადგენლობით: სენაკის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე, ბადრი ქუთელია; სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი, მერაბ ჯანაშია; ამავე სამსახურის სპეციალისტი, პროექტის ინიციატორი, დალი ქაჩიბაია; სენაკის მუნიციპალიტეტის მერის თანაშემწე, ნიკოლოზ ქეცბაია; სტარტაპერი, AI ინჟინერი, საბა მარშავა. ინოვატორ მეწარმეს, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიისგან, 5000 ლარიანი გრანტი გადაეცა; მეწარმეს - ბიზნესის დიჯიტალიზაციისთვის – 2000 ლარი; მეწარმეს, ციფრული ინსტრუმენტების გამოყენებისთვის – 1000 ლარი. ასევე გამოვლინდნენ პროექტის პარტნიორების - ტერა ბანკის და მასტერ ედუს რჩეული მეწარმეები.

სათემო ფორუმი

სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა, ვახტანგ გადელიამ, მონაწილეობა მიიღო საქართველოში კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების რისკის შემცირების საკითხებზე გამართულ სათემო ფორუმში. ფორუმზე, კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაციის შესაძლებლობებზე, საფრთხეების პროგნოზირებაზე, აგრომეტეოროლოგიური სერვისების განვითარებაზე, ასევე, კლიმატის ცვლილებების მიმართულებით - საგანმანათლებლო და ცნობიერების ასამაღლებელი ღონისძიებების მნიშვნელობაზე იმსჯელეს. ფორუმს ესწრებოდნენ: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე, სოლომონ პავლიაშვილი, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე, მზია გიორგობიანი, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მუდმივი წარმომადგენლის მოადგილე საქართველოში, ნილს ქრისტენსენი, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, საბა ოდიშარია, შესაბამისი სექტორების წარმომადგენლები. სათემო ფორუმის ფარგლებში გამოვლინდნენ და დაჯილდოვდნენ პროგრამის - "კლიმატის ცვლილებებით გამოწვეული კატასტროფების რისკის შემცირება საქართველოში" ფარგლებში ჩატარებული გარემოს დაცვითი კონკურსების გამარჯვებულები.

მუნიციპალიტეტის მერიის
საზოგადოებასთან
ურთიერთობის და ინფორმაციული
უზრუნველყოფის განყოფილება

მუნიციპალიტეტის საკრებულოში

***

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, საბა ოდიშარიამ საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის, ელისო შურღაიას მხარდაჭერით, არასაგაკვეთილო დროს, საინფორმაციო შეხვედრები გამართა, სენაკის გენო ადამიას სახელობის პირველ საჯარო, ჟიული შარტავას სახელობის მეორე საჯარო, N3 საჯარო და 7 საჯარო სკოლის მაღალი კლასის მოსწავლეებთან. შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში გამართულ შეხვედრაზე, საუბარი შეეხო, თვითმმართველობის ორგანოების საკრებულოსა და მერიის საქმიანობას, მის მიზნებს და პრინციპებს.

წარმომადგენლობითი ორგანოს ხელმძღვანელი პირები, საკრებულოსა და მერიის მუშაობის სპეციფიკის უკეთ გასაცნობად და ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის შესახებ საინფორმაციო ტიპის შეხვედრებს, სენაკის სხვა საჯარო სკოლის, მაღალი კლასის მოსწავლეებთანაც გამართავენ.

***

2025 წლის 24 მარტს, გაიმართა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის სხდომა.

სხდომას, კომისიის თავმჯდომარე, ბადრი კალანდარიშვილი უძღვებოდა.

დღის წესრიგის მიხედვით გათვალისწინებული იყო ერთი საკითხის განხილვა:

1. სენაკის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 იანვრის №2 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე".

მომხსენებელი სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ბადრი კალანდარიშვილი.

თანამომხსენებელი სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი დონარა ალანია.

***

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, ინგა ქარდავამ, საბჭოს მდივანმა, მანანა გვიჩიამ, საბჭოს წევრებმა, მარინე ნანეიშვილმა, დალი ქაჩიბაიამ და მზია ბიგვავამ, საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ, 2024 წელს გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში გამარჯვებული კონკურსანტების, ლამზირა ჭანტურიასა და გურანდა გვასალიას მიერ განხორციელებული სამუშაოები ადგილზე დაათვალიერეს.

ლამზირა ნაჭყებიამ, საგრანტო კონკურსის ფარგლებში, მარწყვის ჩასარგავად შეიძინა 320 ცალი მეორადი წყალსადინარი, სადაც 7000 ძირამდე, გამოყვანილი ჯიშების, სანანდრიასის, ალბიონის, მურანოსა და მონტერეის ნერგი ჩაირგო.

პირველ მოსავალს მაისის თვის ბოლოდან ელოდება და ნოემბრის თვის ჩათვლით მისი რეალიზაცია ადგილობრივ ბაზარზე მოხდება.

გურანდა გვასალიამ, მიღებული თანხით, სამი ახალი გალია დაამონტაჟა, სადაც ბინადრობენ აბრეშუმის, ლივენურისა და კოხინხინის ჯიშის ქათმები, ასევე განხორციელდა ერთი საფრინველეს სახურავის ახლით ჩანაცვლება.

გურანდა გვასალია, ოჯახთან ერთად საქმიანობას 4 წელია ეწევა და მათ ანგარიშზე უკვე 13 ჯიშის ქათამი, ფარშევანგები და ორი ჯიშის ინდაურია. ახალი საფრინველეების დამონტაჟებამ, ფერმის გაფართოება და გაყიდვების ზრდა გამოიწვია.

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ 2024 წელს გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში ხუთი გამარჯვებული გამოვლინდა და კონკურსისათვის გამოყოფილი თანხა, 15 000 ლარი, მათზე თანაბრად გადანაწილდა.

***

2 აპრილს, აუტიზმის შესახებ ცნობადობის ამაღლების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ჯანმრთელობისა და განვითარების ცენტრში ღონისძიება გაიმართა, რომელსაც სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, საბა ოდიშარია, საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ინგა ქარდავა და საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარის მოადგილე, მანანა გვიჩია ესწრებოდნენ.

სენაკის მუნიციპალიტეტის მასშტაბით რეგისტრირებული აუტისტური სპექტრის მქონე მოზარდების განვითარების სტიმულირების, სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობის, ბავშვებისა და ოჯახის გაძლიერების მიზნით, აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის პროგრამა 2023 წლიდან ხორციელდება.

პროგრამა თავის მხრივ მოიცავს - საჭიროების შემთხვევაში, მულტიდისციპლინური გუნდის რამდენიმე სპეციალისტის მიერ, ბენეფიციარისთვის ინდივიდუალური განვითარების წლიური გეგმის შესაბამისად, კომპლექსური თერაპიის მიწოდებას, შემეცნებითი, სოციალურ-ემოციური, სოციალური განვითარების, თვითმოვლისა და დამოუკიდებლად ფუნქციონირების უნარების ჩამოყალიბების ხელშეწყობას.

ასევე, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარების პროგრამის ფარგლებში, მთელი საბიუჯეტო წლის განმავლობაში, აუტიზმის სპექტრის მქონე მოზარდებისთვის, გათვალისწინებულია ინდივიდუალური ფინანსური დახმარება.

2024 წლიდან, პროექტის - "საჭიროების მქონე ბავშებისთვის ADOS -ის კვლევის დანერგვა მუნიციპალიტეტში" ფარგლებში, რისკის მქონე მოზარდებისთვის, მუნიციპალიტეტში, ხელმისაწვდომი გახდა ,,ოქროს სტანდარტად" აღიარებული ADOS -ის კვლევის ადგილზე ჩატარება, დიაგნოზის დროული დასმა და მკურნალობის/რეაბილიტაციის დაწყება.

აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის პროგრამით, 127 594 ლარის ფარგლებში, 2024 წელს, 31-მა მოზარდმა ისარგებლა.

მიმდინარე წელს, აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის პროგრამის ბიუჯეტი გაიზარდა 44 600 ლარით.

პროგრამით 31 მოზარდი სარგებლობდა, მიმდინარე წლიდან, მომსახურებას კიდევ 10 მოზარდი მიიღებს.

ალექსი დემურია,
საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი
საინფორმაციო საკითხებში

უკვდავებაში გადასული

თქვენ, საქართველო გეფერებათ

7 მარტს საქართველოს ეროვნულ გმირს, სენაკის გამორჩეულ შვილს, სამშობლოსათვის თავდადებულ მამულიშვილს ბატონ ჟიული შარტავას 81 წელი შეუსრულდებოდა. აღნიშნულ თარიღთან დაკავშირებით, შემუშავებული გეგმის შესაბამისად, საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსთან ქალბატონ ელისო შურღაიასთან შეთანხმებითა და სასწავლო დაწესებულებათა დირექციების მხარდაჭერით, 7 მარტს დილით სკოლებში სასწავლო პროცესი დაიწყო წუთიერი დუმილით.

დილიდან ხალხმრავლობა იყო მუზეუმში. მუზეუმს პირველები სტუმრობდნენ ნოქალაქევის საჯარო სკოლის VI კლასის მოსწავლეები, რომელთაც წარმოადგინეს ლიტერატურული მონტაჟი ,,გმირები არ კვდებიან". მეორე საჯარო სკოლის ჟიული შარტავას კლას-კაბინეტში დავესწარით პედაგოგ მეგი გრიგოლიას ხელმძღვანელობით მეორე კლასში ჩატარებულ საღამოს ,,გმირებად იბადებიან".

მუზეუმის საგამოფენო დარბაზში უხვად იღვრებოდა თაფლის სანთლისა და გაზაფხულის ყვავილების სურნელი.

მუზეუმში გაიმართა თემატური საღამო ,,საქართველო მარად იამაყებს აფხაზეთის ომში დაღუპული ჩვენი თანაქალაქელების სახელებით, გამორჩეული პიროვნებებითა და სწორუპოვარი რაინდებით".

ღონისძიების დამსწრე საზოგადოების წარმომადგენლები იყვნენ: კულტურის მუშაკები, აფხაზეთიდან დევნილები, აფხაზეთის ომში დაღუპული ოჯახების ახლობლები, ადგილობრივი თვითმმართველობისა და საზოგადოების წარმომადგენლები.

ღონისძიება გახსნა ჟიული შარტავას მუზეუმის სპეციალისტმა ქალბატონმა მარინე აბრამიამ. დამსწრე საზოგადოებამ წუთიერი დუმილით პატივი მიაგო ჟიული შარტავასა და სამშობლოსათვის შეწირული ჩვენი თანაქალაქელების, ბატონების გენო ადამიას, გურამ გაბესკირიას, ნოდარ კანკიას, ლევან ჭუბაბრიას, რობერტ სანიკიძის, ომარ ქიშმარიასა და ქალბატონ ლინა ეჯიბიას ხსოვნას. მოიგონეს შარტავების ოჯახის გარდაცვლილი წევრები, სენაკის კოლორიტები: ქალბატონი ფენია, ბატონები კალისტრატე და სოსო.

მუზეუმის მეცნიერ-მუშაკმა ქალბატონმა ნანა ფირცხალავამ, დარბაზში გამოფენილ ფონდში დაცული ჟიული შარტავას ფოტოებით, თავისი შინაარსიანი გამოსვლითა და ემოციურად დატვირთული პათოსით, საინტერესოდ და ვრცლად გააცოცხლა გმირის პიროვნება.

ღონისძიებაზე სიტყვა წარმოსთქვა მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სპეციალისტმა, მწერალმა, სენაკის საპატიო მოქალაქემ ბატონმა ბორის დავითაიამ.

დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ ბატონმა ზაზა ნაჭყებიამ.

სენაკის საპატიო მოქალაქემ ბატონმა დამირ კუჭავამ მისი გამოსვლა დაასრულა საკუთარი ლექსით ,,ჩემი თაობის გმირები".

მუზეუმში ჩატარებულ ღონისძიებას სატელეფონო ზარით შეეხმიანა ჟიული შარტავას და, სენაკის საპატიო მოქალაქე ქალბატონი ცისანა შარტავა. მან კეთილი განწყობა და დიდი სიყვარული გამოხატა დამსწრე საზოგადოებისადმი, ჟიულისა და მისი მეგობრების გახსენებისადმი.

ღონისძიების დასასრულს დამსწრე საზოგადოებისათვის ნაჩვენები იქნა ნაწყვეტი მესამე საჯარო სკოლის XI კლასის მოსწავლის ანრი სიჭინავას საავტორო დოკუმენტური ფილმიდან ,,სენაკი გმირების ქალაქი", რომელსაც დიდი მოწონება ხვდა წილად. სულ ახლახან ანრი აირჩიეს საქართველოს სტუდენტური პარლამენტისა და მთავრობის სენაკის წარმომადგენლობის თავმჯდომარედ. მუზეუმის კოლექტივი ულოცავს მას წარმატებულ ნაბიჯს და უსურვებს შემდგომ წინსვლას საქმიანობაში.

იყო ტკივილით გაჯერებული დღე, რომელმაც კიდევ ერთხელ გააცოცხლა დიდებული ადამიანები.

მზია ჭაკავა
სენაკის ჟიული შარტავას
მუზეუმის თანამშრომელი

14 აპრილი- დედაენის დღე

,,სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა, სარწმუნოება. თუ ამათ არ ვუპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას? სხვისა არ ვიცით და ჩვენ კი მშობელ მამასაც არ დავუთმობდით ჩვენ მშობლიურ ენის მიწასთან გასწორებას.

ენა საღმრთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს."'

ილია ჭავჭავაძე

,,გონებით, ფიქრით კვლავაც ჩემს ქალაქში

ცხოვრება ერთგვარად შემოქმედებაა, სადაც ადამიანები საკუთარ თავს ძერწავენ, ხვეწენ, ახალ-ახალი უნარებით ამდიდრებენ. ამ პროცესში ზოგი დინებას მიჰყვება, ზოგი გააზრებულად მოქმედებს, ამიტომ ვის გამოსდის, ვის არა. ადამიანები, რომლებსაც გააზრებული, გაცნობიერებული აქვთ თავისი შესაძლებლობები და ინტერესები, მრავალფეროვან მემკვიდრეობას ქმნიან და საპატიო ადგილს იმკვიდრებენ ერის ცხოვრებაში. ჩვენი დღევანდელი რესპონდენტი-ბატონი რევაზ გროგოლავაც ერთ-ერთი მათგანია.

იგი დაიბადა 1950 წლის 22 აპრილს სოფელ შხეფში /სენაკი/.

დამთავრებული აქვს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი, სპეციალობით ისტორიკოსი და საზოგადოებათმცოდნეა.

წლების მანძილზე სენაკის რაიონის ხელმძღვანელ და პასუხისმგებელ პარტიულ, საბჭოთა და კომკავშირულ თანამდებობებზე მსახურობდა. რამდენიმე ათეული წელი დაუღალავად იღვაწა გაზეთ ,,კოლხეთის" რედაქციაში და წვლილი შეჰქონდა რეგიონული მედიის განვითარების საქმეში. იყო ქალაქ სენაკის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე (შემდეგში ვიცე-მერი) და ქალაქის მერიის აპარატის უფროსი. საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო კომპანიის გამგეობის წევრი და ამავე კომპანიის გაზეთ ,,დაზღვევა და ცხოვრების" მთავარი რედაქტორი. წლების მანძილზე გახლდათ სენაკის საქალაქო გაზეთის - ,,სენაკის უწყებანის" მთავარი რედაქტორი, რეს-პუბლიკური გაზეთების /,,კომუნისტი", ,,ახალგაზრდა კომუნისტი", ,,საქართველოს რესპუბლიკა"/ სამეგრელოს ზონის საკუთარი კორესპონდენტი, ცოტნე დადიანის სახელობის სოხუმის ჰუმანიტარული ინსტიტუტის ისტორია-იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, დოცენტი და ინსტიტუტის სტუდენტთა სამეცნიერო წრის ხელმძღვანელი.

70-იანი წლებიდან ეწევა ჟურნალისტურ-პუბლიცისტურ და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას. გამოქვეყნებული აქვს არაერთი სამეცნიერო ხასიათის სტატია და ნაშრომი, რომლებიც ძირითადად სამეგრელოს, უმთავრესად კი სენაკის მაზრის ისტორიულ წარსულს ეხება. 1980-იანი წლებიდან იკვლევს 20-30-იანი წლების პოლიტიკური რეპრესიების ისტორიას სენაკის მაზრაში / სენაკის, მარტვილის, აბაშის რაიონებში/, რომელსაც ასობით უდანაშაულო ადამიანი ემსხვერპლა, მათ შორის სასულიერო პირებიც. ერთ-ერთ ასეთ რეპრესირებულ სასულიერო პირს, ქალაქ სენაკის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვრის, დეკანოზ არისტარქო კალანდარიშვილის მოღვაწეობას მიეძღვნა მისი ნაშრომი-მონოგრაფია ,,მოწამე მთავარხუცესი, დეკანოზი მამა არისტარქო (კალანდარიშვილი)", რომელიც 2012 წელს წიგნად გამოიცა. მასში მოთხრობილია აგრეთვე მისი შვილის, 1921 წლის თებერვალში კოჯორ-ტაბახმელას ფრონტზე გმირულად დაღუპული იუნკერის, სტუდენტ ნიკოლოზ კალანდარიშვილის შესახებაც, რომლის სახელი და გვარი იქ დაღუპულ სხვა ქართველ იუნკერებთან ერთად ამოკვეთილია პარლამენტის შენობის კედელზე.

გამოქვეყნებული აქვს წერილები 1924 წლის სექტემბერში დახვრეტილი სენაკის სასულიერო მოღვაწეების, თეკლათისა და უშაფათის ეკლესიის მღვდლების ნიკოლოზ ხეცურიანისა და ანტონ ხორავას მოწამეობრივი აღსასრულის შესახებ, ხოლო დასაბეჭდად გამზადებული აქვს სტატიები ამავე პერიოდში ასევე დახვრეტილი მღვდლების გერასიმე გამზარდიას, გერასიმე ხოშტარიას, რომანოზ ჩოჩიას და სხვათა შესახებ. გულის შემძვრელია ის ამაზრზენი ფაქტი, რომ სენაკის სამაზრო ციხეში დაპატიმრებული სიცხიანი მამის გერასიმე გამზარდიას სანახავად მისულ მის შვილს, სტუდენტ აკაკი გამზარდიასაც, იგივე ბედი ეწვია რაც მამამისს, ორივენი იმავე ღამით დახვრიტეს სრულიად უდანაშაულონი.

სტატიების კრებულს რეპრესირებული სენაკის მაზრის სასულიერო მოღვაწეების შესახებ მალე იხილავს თავისი მკითხველი.

საინტერესოა ავტორის სტატიების ციკლი, რომელშიც ის დოკუმენტებზე დაყრდნობით მკითხველებს მოუთხრობს დიდი რუსი მწერლის ნ. ჩერნიშევსკისა და მისი დიდი ქართველი კოლეგების ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის და სხვების პირადი მეგობრის, ეკელი /უფალკარელი/ თავადის გიორგი ჩიჩუასა და ამავე სოფელში მცხოვრები მისი ახლობლების, თავად ჩიჩუების ტრაგიკული ისტორიის შესახებ, რომლებიც 1924 წლის აგვისტოს სენაკის ანტისაბჭოთა აჯანყების შემდგომი რეპრესიების მსხვერპლი გახდნენ.

20-იანი წლების ამ საშინელი რეპრესიებისადმი მიძღვნილი მთავარი ნაშრომი, რომელზეც ავტორმა მუშაობა 90-იანი წლებიდან დაიწყო გახლავთ 1924 წლის ანტისაბჭოთა გამოსვლების ისტორია სენაკის მაზრაში (სენაკის, აბაშის და მარტვილის რაიონებში), რომელშიც თავმოყრილია ამ პერიოდის მანძილზე მოძიებული უამრავი დოკუმენტური მასალა - აჯანყების ხელმძღვანელთა და აქტიურ მონაწილეთა ბიოგრაფიული მონაცემები, ჩეკაში მათი დაკითხვის მასალები, მოგონებები და სხვა, რითაც ნათლად არის წარმოჩენილი აჯანყების წინა პერიოდში არალეგალურად მომუშავეთა ვინაობები, მათი საქმიანობა, აჯანყების მიმდინარეობა. სენაკის აღება, დამარცხების შემდეგ სვანეთში უკანდახევა, რეპრესიების მთელი საშინელებანი და სხვა საინტერესო მასალები, რომელიც მკითხველთა სამსჯავროზე წლეულსვე იქნება წარდგენილი.

ბატონი რევაზი, რომელიც ამ საკითხებისადმი მიძღვნილი არაერთი სამეცნიერო კონფერენციების მონაწილეა, სწორედ ამიტომაც ითვლება სხვებთან ერთად საბჭოთა პერიოდის აღნიშნული ეპოქის ერთ-ერთ ავტორიტეტულ ისტორიკოსად და მკვლევარად.

ამჟამად იგი მუშაობს სენაკის რაიონის 1850-1921 წლების პერიოდის სასულიერო მოღვაწეთა ბიოგრაფიულ ენციკლოპედიაზე და სხვა საინტერესო მასალებზე ჩვენი ქალაქის და რაიონის წარსულიდან.

ჰყავს მეუღლე - ნარგიზა ადამია, ორი ვაჟიშვილი: ირაკლი და გიორგი, ერთი შვილიშვილი, 8 წლის ვიქტორია გიორგის ასული გრიგოლავა. ვიქტორია მადრიდის ესპანურ სკოლაში სწავლობს. არის მესამე კლასის მოსწავლე. მშობლიურ ენას იქ გახსნილ ქართულ სკოლაში ეუფლება. არის მადრიდის ,,რეალის", ქართველ ფეხბურთელთა და რაგბისტთა ნაკრების ფანი, მათ მატჩებს მადრიდში ყოველთვის ესწრება. ეუფლება ვიოლინოზე დაკვრას, უყვარს ცურვა, მონაწილეობს სკოლების მიერ გამართულ ღონისძიებებში. არის ესპანეთის მოქალაქე, რაც მთავარია წარჩინებული მოსწავლე.

. . . . . .

ბატონო რევაზ, 22 აპრილი თქვენი გაჩენის დღეა, ,,კოლხეთელები" გილოცავთ იუბილეს. საინტერესოა ამ გადმოსახედიდან რის თქმას ისურვებდით?

მტკივნეულია, როცა უკან მოიხედავ და იქ ვერავის აღმოაჩენ. ტყუილად როდი ამბობს პოეტი ნინო არსენიშვილი თავის ერთერთ პწკარედში ,,სანამ გახსოვარ არ ვითვლები მკვდრად, დამივიწყებ და გადავიქცევი მტვრად"-ო. ასეთი საფრთხე მე ნამდვილად არ მემუქრება, იმ მრავალრიცხოვანი მეგობრების, კოლეგებისა და ამხანაგების წყალობით, რომლებთან ერთად განვლილ ჩემი შეგნებული ცხოვრებისა თუ შემოქმედების წლები. თქვენი შემოხმიანება და დღევანდელი ინტერვიუც ამის დასტურია. მინდა გითხრათ, მიუხედავად იმისა, რომ გაზეთში ერთობლივი მუშაობის წლებიდან გიცნობთ, როგორც ნიჭიერ კალმოსანსა და ყურადღებიან ადამიანს, თქვენმა მოლოცვამ დიდად ამაღელვა და მრავალი რამ გამახსენა. უღრმესი მადლობა თქვენ, ჩემს საყვარელ გაზეთსა და ჟურნალისტურ ასპარეზზე ჩემი გამომყვანი რედაქციის თითოეულ წევრს, ნაცნობებსა და უცნობებს, ძველ თუ ახალ ,,კოლხეთელს", ჩემს უმცროს მეგობრებსა და კოლეგებს. კიდევ ერთხელ მადლობა გახსენებისათვის, რითაც ახალი ენერგია შთამბერეთ და მუშაობის ჟინი გამიორკეცეთ, სტიმული და ხალისი შემძინეთ.

სენაკი თქვენი ოდაბადეა, რომელთანაც ხილულ-უხილავი ძაფებით ხართ მიერთებული, ამ გადმოსახედიდან რა ,,ფერია" თქვენი სულის ფორიაქი მშობლიური სანახებისადმი? თქვენი დამოკიდებულება ჩვენი ქალაქისადმი.

იგი არასოდეს შემიცვლია, მუდამ სწორხაზოვანი იყო და იქნება ჩემს უკვდავებაში გადასვლამდე. იტალიურ ქალაქს მიმსგავსებული ჩემი კოხტა და კოპწია ქალაქი, რომელიც ბოლო ხანებში კიდევ უფრო მიმზიდველი და სამზერადაც საამო გახდა, მუდამ გამოირჩეოდა თავისი საოცარი მიმზიდველობით, თვითმყოფადობით, სულით, სენაკელთა სიდარბაისლით, ერთმანეთის მეზობლობით, გამტანობით, ერთგულებითა და სიყვარულით. ბედნიერი ვარ, რომ ნამდვილი სენაკი მე ასეთი მახსოვს. სენაკელობა მოვალეობას ნიშნავდა ქალაქის წინაშე. მახსოვს პირველად ცხონებულმა ომიანე კაჭარავამ მითხრა- ყველა ვერ გაივლის ბაღის კიდეზე, იქ გავლასა და დგომის უფლებას დამსახურება უნდაო, სულ მახსოვს ეს.

ალბათ ამიტომაც იყო, რომ დრო და ჟამმა ვერაფერი დააკლო ასეთ ადამიანებს, ვერ მოკლა ისინი და ვერ წაშალა მათი კვალი. ასეთი ადამიანების იმედი გვქონდა მუდამ-სიკვდილის მერეც რომ აგრძელებდნენ თავიანთ არსებობას, იმ კვალის გამო, რომელიც სიცოცხლეში დატოვეს. მადლობა სენაკს, რომ ასეთი ადამიანები უამრავი ჰყავდა და ჰყავს დღესაც....

განა შეიძლება ასეთი ქალაქი არ გიყვარდეს? მართალია. თითქმის 28 წელიწადია დედაქალაქში ვარ, მაგრამ, ცხადია, მაინც ჩემი ოდაბადისკენ გამირბის დაუდეგარი, პეპელასავით მოფარფატე ოცნებები, გონებით, ფიქრით კვლავაც ჩემს ქალაქში ვარ, იქ ვტრიალებ, მის ქუჩებში დავდივარ...

,,ყველაზე ლამაზი ფიქრი ყოფილა,
ფიქრი არაფრის მთქმელი...
ყველაზე ლამაზი ოცნება ყოფილა
ოცნება სათქმელად ძნელი...

და ასეთ ოცნებებში შეჭრილი ნათლად ვხედავ ჩემს შხეფს, სადაც დავიბადე და ფეხი ავიდგი, სადაც რვა კლასამდე ვსწავლობდი, სენაკის პირველ საშუალო სკოლას, ჩემს პედაგოგებს, ტოლამხანაგებს, მეგობრებს, ჩემს ტეხურას, სადაც ვთევზაობდი, ვჭყუმპალაობდი,

ვიქტორია გრიგოლავა ესპანეთის რაგბისტთა ნაკრების წევრთან

სადაც დინების საწინააღმდეგო ცურვაში ვვარჯიშობდით ახალგაზრდები. მართალია აღმა ვერცერთი ვერ მივცურავდით, ერთიორ მეტრს ალბათ, მაგრამ დიდ სიამოვნებას ვგრძნობდით ამით. ვიღლებოდით, მაგრამ სარბიელს მაინც არ ვტოვებდით. ახლა ტეხურაში რომ ფეხი ჩავდგა, მეშინია მისმა ჩქარმა დინებამ არ გამიტაცოს დაღმა, სადაც უამისოდაც მიმაქანებს არსთაგამრიგე, ამას კიდევ დაჩქარება უნდა?

მახსოვს, სტუდენტთა ერთ-ერთ სამეცნიერო კონფერენციაზე მომხსენებელ ახალგაზრდას ვკითხე, შეგიძლია მოკლედ მითხრა, რად გიყვარს შენი სამშობლო -მეთქი?

,,ირემს რად უყვარს მთის წყარო,
ვაჟკაცს ნალესი ხმალია?

(დასასრული მე-5 გვ)

ვარ, მის ქუჩებში დავდივარ..."

გაზეთ ,,კოლხეთი". 1990 წლის ნოემბერი

მე თუ რად მიყვარს სამშობლო,
აბა, რა საკითხავია!..-ო
მიპასუხა დიდი ვაჟას ლექსით.

მართლაც, შენი ოდაბადესადმი, შენი ფუძისადმი გაუნელებელი სიყვარული ხომ ყოველი ჩვენთაგანის გენშია ჩაკირულ-ჩადუღაბებული და ასე იქნება მანამ, ვიდრე ცოცხალი ვართ, სწორედ ეს გენია-რომ გვიზიდავს ანდამატივით ბავშვობის ადგილებისაკენ, მშობლიურად ქცეული მიწისაკენ, განსაკუთრებით ხანდაზმულობის ასაკში, როდესაც ეს გრძნობა უფრო გამძაფრებული გვაქვს, ამიტომაც ახლა, ამ წლების სიმძიმიდან ნეტარებით გავცქერი ჩემი ბავშვობის და სიჭაბუკის უჭკნობ ყვავილებს, იქ გატარებული და სიზმრადქცეული მოგონებებით ვტკბები და ლოცვით ვიხსენებ მიწას, რომელმაც კაცად მაქცია და ცხოვრების ასპარეზზე გამომიყვნა, მიწას, რომლის წიაღშიც ჩემი წინაპრების სულები განისვენებენ და რომელსაც თავის დროზე, ალბათ, მეც შევუერთდები..

როგორ გაიხსენებთ თქვენი ცხოვრების ჟურნალისტური საქმიანობის იმ ეტაპს, რომელიც ,,კოლხეთს" უკავშირდება, პირველ ნაბიჯებს, პირველ წერილს, რომელიც გაზეთში დაიბეჭდა?

ამას რა დამავიწყებს, კარგად მახსოვს, 1971 წლის გაზაფხული იყო, გაზეთის პასუხისმგებელმა მდივანმა, ცხონებულმა ილო წირღვავამ, დამიბარა და დამავალა შხეფის საბჭოთა მეურნეობაში საგაზაფხულო სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ წერილი მომემზადებინა და მისთვის მიმეტანა. დავალება, ცხადია, შევასრულე, მეურნეობაში მივედი, სათანადო მასალები გამოვითხოვე და მომზადებული წერილი მას გადავეცი. წერილს ვამბობ, თუმცა ეს წერილი კი არა, ინფორმაცია იყო, რომლის მსგავსი ინფორმაციები გაზეთში სისტემატიურად იბეჭდებოდა, რომელსაც მაშინ რედაქციის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე სოლომონ კუჭავა ამზადებდა.

- მეორე დღეს რედაქციაში, დაბარებისამებრ გამოვცხადდი ბატონ ილოსთან, ვლელავდი, მან შენიშნა ჩემი აღელვება, გამიღიმა, გაზეთის ახალი ნომერი გადმომცა და დახედეო-მითხრა, დავხედე პირველ გვერდს და სიხარულის ჟრუანტელმა დამიარა ტანში-პირველ გვერდზე, გაზეთის დასახელების გვერდით ჩემი ინფორმაცია იყო დაბეჭდილი ჩემი სახელით და გვარით!

სიხარულით აღტაცებული გავქანდი შინისაკენ, თან გაზეთის რამდენიმე ეგზემპლარიც წავიღე და იქ ყველას ამაყად დავურიგე.

შემაქეს, წამახალისეს და წარმატებები მისურვეს. ასე დაიწყო ჩემი საქმიანობა ,,კოლხეთის" რედაქციაში, რომელშიც გამოცდილი პრესის ძველი მუშაკები საქმიანობდნენ. მიმუშავია ბორის შენგელიას, რეზო ჯანჯღავას, თამაზ კანკიას, ბორის მილიუტინის, სოლომონ კუჭავას, ილო წირღვავას, ლამარა გადელიას, გალაქტიონ რობაქიძის, იონა გვასალიას, გოგოლა მზარელუას, კარლო ტაბაღუას და სხვების გვერდით, რომლებიც გარდა იმისა, რომ დახელოვნებული ნიჭიერი კალმოსნები იყვნენ, შესანიშნავი ინტელიგენტები და ახალგაზრდა ჟურნალისტების საუკეთესო დამრიგებლებიც გახლდნენ, რის გამოც ბევრ რამეს ვსწავლობდი მათგან, ამიტომ დღესაც სიყვარულით ვიხსენებ მათ და ჩემთვის გაწეულ მათ ამაგს.

ისტორიკოსი ბრძანდებით და გასაკვირი არაა წარსულის ანალებზე გემუშავათ, მაგრამ თქვენ ისეთი სარისკო თემების კვლევა დაიწყეთ, იმ ეპოქაში ტაბუ დადებული რომ იყო, საინტერესო იქნება ამის გახსენება.

თქვენ ჩემს ბიოგრაფიულ მონაცემებში მითითებული გაქვთ ჩემი ერთერთი უმთავრესი ნაშრომის ,,სენაკის მაზრის 1924 წლის ანტისაბჭოთა გამოსვლების შესახებ". გასული საუკუნის 70-80 -იანი წლებდან მე, როგორც უკვე იცით რაიონის კომკავშირულ და პარტიულ ორგანოებში ვმუშაობდი განყოფილების გამგედ

გაზ ,,კოლხეთი". 1990 წლის დეკემბერი

და მიუხედავად იმისა, რომ ისტორიული ხასიათის ნაშრომებიდან ამ აჯანყების და ამ აჯანყებაში სენაკის მაზრის ამბოხებულთა მონაწილეობის შესახებაც წაკითხული მქონდა, ვრცლად და კონკრეტულად არაფერი ვიცოდი, სწორედ ამან დამაინტერესა და დავიწყე მასალების მოძიება, მათ შესახებ. საიდუმლო საარქივო დოკუმენტებზე წვდომა მაშინ შეუძლებელი იყო, იგი მხოლოდ 90-იანი წლებიდან გახდა შესაძლებელი, როცა სსრ კავშირის დაშლის შემდეგ ხელისუფლებამ ამ აჯანყებასთან დაკავშირებული საიდუმლო არქივის ფონდები გახსნა და იქ მუშაობა მეცნიერებისა და ჟურნალისტებისათვის შესაძლებელი გახდა, მაშინ მომეცა საშუალება იქ მუშაობის დაწყებისა, რისთვისაც საქართველოს უშიშროების მაშინდელ მინისტრს წერილობით მივმართეთ. მახსოვს ამ სამინისტროს არქივის ვრცელ დარბაზში მაშინ ორად ორი კაცი ვმუშაობდით ამ დოკუმენტებზე. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს იმ პერიოდის აღიარებული მკვლევარი ბატონი გოგი ციციშვილი და მე, ჟურნალისტი.

იქ გავეცანი პირველად უამრავ მასალას, დოკუმენტებს, აჯანყების მონაწილეთა კართოტეკებს, ჩეკაში მათი დაკითხვის მასალებს, რესპუბლიკურ და რაიონულ არქივებსა და მუზეუმებში ძველ ბოლშევიკთა მოგონებებს, შინაგან საქმეთა სამაზრო განყოფილების , პარტიის სამაზრო კომიტეტისა და სამაზრო აღმასკომის მიმოწერებსა და ზემდგომი ორგანოებისადმი გაგზავნილ მოხსენებით ბარათებს, მაზრაში მომხდარი ამ გამოსვლების შესახებ. ჩავიწერე სენაკის რაიონში ჯერ კიდევ ცოცხლად დარჩენილი ამ აჯანყების მონაწილეთა და მათ წინააღმდეგ მებრძოლ კომუნისტთა მონაყოლი ისტორიები, დაგროვილი უზარმაზარი მასალების საფუძველზე შევუდექი ამ ნაშრომზე მუშაობას, რომლის ცალკეული თავები როგორც რაიონულ გაზეთ ,,კოლხეთში", ისე რესპუბლიკურ დამოუკიდებელ გაზეთ ,,მახარიაში" შიდა გაშლილ გვერდებზე იბეჭდებოდა.

წლეულს ეს წიგნი გამოვა, და მკითხველი მასში მთლიანად აღიქვამს ამ აჯანყების ისტორიას და მისი თანმდევი, მანამდე გაუგონარი სისხლიანი რეპრესიების დაუჯერებელ ამბებს, რასაც 500-ზე მეტი სენაკელი და სენაკის მაზრის (სენაკის აბაშის და მარტვილის) წარჩინებული ფენებისა და გლეხების, ინტელიგენციის, მოსწავლე-ახალგაზრდობის და თვით საბჭოთა დაწესებულებების პარტიულ მუშაკთა წარმომადგენლები ემსხვერპლნენ.

მარტო ერთ ღამეს, 9 სექტემბერს, განთიადისას სენაკში, ამ რეპრესიებს 100-ზე მეტი ადამიანი ემსხვერპლა, რომლებიც გაუსამართლებლად დახვრიტეს საკირე ქარხნის ტერიტორიაზე.

გაზეთ ,,კოლხეთი". 1989 წლის ნოემბერი

ასეთივე სისხლისმღვრელი რეპრესიები განხორციელდა მარტვილის, ბანძის, სალხინოს, აბაშის და სხვ რაიონებშიც. მათი წაკითხვისას, შეიძლება სისხლი გაეყინოს ადამიანს.

ამჟამად რაზე მუშაობთ, გაგვიმხილეთ მომავლის გეგმები

ცხადია, გასახსენებელი და დასაწერი ბევრი მაქვს, მაგრამ გაზეთის ფორმატი ამის საშუალებას აქ არ მაძლევს, ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ მომავალი გეგმების შესახებ წინასწარ ლაპარაკი ორი მიზეზის გამო არ მიყვარს, რომელთაგან პირველი ასეთი გეგმების შესახებ ღმერთის დამოკიდებულება გახლავთ, ხოლო მეორე მიზეზი ჩემი ასაკი, რომლის სიმტკიცესა და ხანგრძლივობაში მაინცდამაინც დრწმუნებული არა ვარ, თქვენ მაინც გაგიმხელთ, რომ ყველა ისინი, ისევე როგორც კოლორიტი სენაკელი ადამიანების შესახებ სევდანარევი და იუმორით აღსავსე ჩანახატები თავის ასახვას ჰპოვებს წიგნში, რომელზეც ინტენსიურად და ხალისით ვმუშაობ და რომლის პირობითი სახელწოდება ,,მოგონებათა კრიალოსანი" ან სხვა უფრო შესაფერისი სახელი იქნება.

გეგმები კიდევ ბევრი მაქვს, მათ შესასრულებლად დრომ რომ არ მიღალატოს დღენიადაგ საწერ მაგიდას ქაღალდებში ჩაფლული ვუზივარ, რითაც მეუღლეს ვაღიზიანებ და მის ხშირ შენიშვნას ვიმსახურებ. ვითარების განსამუხტავად კი მას ანეგდოტებს ვუყვები.

თუ ისე წავედი ამ სოფლიდან, რომ ჩანაფიქრის შესრულება ვერ მოვასწარი ჩარლზ დიკენსის რომანის ერთ-ერთი გმირისა არ იყოს, როდესაც კარგი გეჩვენებოდით, სწორედ ისეთი მომიგონეთ.

ასე რომ მწერალი ემზარ კვიტაიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ ,,ვიჯახირებ სანამდე, გამწყრომია ზენა..."

ათმაგად დასაფასებელია ბატონი რევაზის ღვაწლი, რადგან დღევანდელობისგან განსხვავებით, როცა თანამედროვე ტექნოლოგიების გათვალისწინებით, სახლიდან გაუსვლელად წამში უამრავი ინფორმაციის მოძიებაა შესაძლებელი, მაშინ ეს პროცესი დროში განგრძობადი გახლდათ, რაც გულისხმობდა ადგილზე არქივებსა და ბიბლიოთეკებში დაცულ დოკუმენტებზე, პერიოდულ პრესასა და სხვა მასალებზე დაყრდნობით თავაუღებულ შრომას, ინფორმაციების შეგროვებას, შეჯერებას, სისტემატიზაცისა და ა.შ.

თანდაყოლი ინტელექტის, ფართო განათლების, ნიჭის, მშობლიური ენის უზადო ცოდნის, ანალიტიკური აზროვნების, მეცნიერული ალღოს და ა.შ. საფუძველზე მისი დოკუმენტურ მასალებზე დაყრდნობილი შრომები გამორჩეულია თავისი აკადემიურობით.

რადგან ბატონი რევაზი ჩვენი დიდი ოჯახის წევრია, გვინდა განსაკუთრებით მოვეფეროთ, ამიტომ ვულოცავთ ძველ ,,კოლხეთელს", ჩვენი გაზეთის უხუცეს მოღვაწეს ბატონ რევაზ გრიგოლავას დაბადების 75-ე წლისთავის იუბილეს და ვუსურვებთ ჯანის სიმრთელეს. დიდხანს სიცოცხლეს და თავისი მიზნების ბოლომდე მიყვანას.

იცოცხლეთ და იხარეთ ჩვენო უფროსო მეგობარო და კოლეგავ, მრავალჟამიერ!

ნინო სართანია

გვარიშვილობა- ადამიანის წარსულის მატიანე

ადამიანის ,,გვარი" მისი ინდივიდუალიზმის ერთ-ერთ ფუნდამენტს წარმოადგენს, ხოლო ,,ტანისამოსი" (გარდა იმისა, რომ ის იცავს სხეულს გარემოს ფიზიკური ზემოქმედებისაგან), ქმნის ნაციონალურ-ეროვნულ სახეს. ამდენად, ყოველ სახელმწიფოში, წარმოშობისა და დამკვიდრებული კულტურის შესაბამისად, ,,გვარი" და ,,ტანისამოსი" ასახავს მათ იდენტობას.

ამ ორი ფენომენის (გვარი, ტანისამოსი) მაგალითი შემთხვევით არ მომიყვანია - მოდით წავართვათ ადამიანს გვარი - რა დარჩება მისგან? ის დაემსგავსება იმ უმისამართო ქუჩას, რომელსაც ეძებს და ვერ პოულობს მგზავრი, განვძარცვოთ ტანისამოსი - რა მოუვა მის სხეულს?.. ფიზიკურად განადგურდება და მორალურად წაიბილწება.

სწორედ ,,გვარია" ჩვენი წარსულის დამადასტურებელი, რაც გამოგვარჩევს სხვა ინდივიდებისგან და ,,ტანის სამოსია" ის მორალურ ფასეულობათა სისტემა, ზნე-ჩვეულებები, რომლითაც წარმოდგენილი იყო ჩვენი წინაპარი, რომელმაც შეგვფუთა და დაიცვა სხეული ფიზიკური განადგურებისგან.

ქართული გენის არსებობის ერთ-ერთ უმთავრეს მამოძრავებელ მექნიზმს წარმოადგენს გვარიშვილობა, ოჯახიშვილობა და ყოფა-ცხოვრებაში მის ადგილს განსაზღვრავს, ყოველი ქართველი დაბადებიდანვე არის მემკვიდრე წინაპართა მატერიალური და სულიერი ფასეულობებისა.

თითოეულ ქართულ გვარს, ქვეცნობიერად მაინც, უსათუოდ აქვს თავისი საგვარეულო მამული, მიწა, სამოსახლო, ეზო, ყანა, ვენახი და ა.შ. საგვარეულო გადმოცემების მეოხებით ყველა გვარიშვილმა იცის, სად არის მისი ფესვი, ძირი და სალოცავი, მამა-პაპათა საფლავი – საძვალე. ეს სიწმინდეები ქართველთა სარწმუნოების მარადიული ნიშანსვეტები და ქართული ეროვნული თვითშემეცნების საყრდენია. სადაც უნდა იყოს ქართველი, რელიგიური და პოლიტიკური მრწამსის მიუხედავად, თუნდაც, დედაენა დაკარგული ჰქონდეს, ქვეცნობიერად ის მაინც ,,თავის გორისად" რჩება.

სწორედ, მიმდინარე წლის პირველ აპრილს, გაზაფხულის ამ უმშვენიერეს დღეს, ზემოაღნიშნული პათოსით გამსჭვალული ღონისძიება - ,,მხეიძეებისა და აფაქიძეების გვარის მიმოხილვა" - ჩატარდა ჟიული შარტავას სახელობის სენაკის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, ღონისძიება გახსნა ამავე მუზეუმის სპეციალისტმა, ბატონმა დამირ კუჭავამ, მან მისთვის ჩვეული ხატოვანებით, ზოგადად ისაუბრა გვარის მნიშვნელობაზე - რა დატვირთვა აქვს ადამიანისთვის იმას, თუ ,,ვისი გორისაა" ის. ამ შინაარსობრივი დატვირთვით გაიხსენა, მეტად საინტერესო ეპიზოდი, ქართველ პოეტ ხუტა ბერულავასთან შეხვედრისა, რომელსაც მისი ოდაბადე ,,ფეხდაფეხ თან დასდევდა მუდამ, სულით და ხორცით ელამუნებოდა მას", ასევე მხატვრული ოსტატობით წარმოგვიდგინა პატრიოტული სულიკვეთებით გამსჭვალული რამოდენიმე ლექსი.

მხეიძეების გვარის შესახებ ისტორიული მიმოხილვა გააკეთა ამავე მუზეუმის სპეციალისტმა, ბატონმა ბორის დავითაიამ -

ქართულ ისტორიულ წყაროებში თავად მხეიძეთა გვარი სხვადასხვა ფორმით გვხვდება: მხეიძე, ფხეიძე, მხეციძე, ხეიძე, მხეცია, ხეცია. ვახუშტი ბატონიშვილი თავის ნაშრომში "აღწერა სამეფოსა საქართველოსა", მხეიძეთა გვარს არგვეთის "აწინდელთა ჟამთა" უწარჩინებულეს საგვარეულოთა შორის იხსენიებს. ისტორიული გადმოცემის მიხედვით, VIII საუკუნის პირველ ნახევარში, არგვეთის (ზემო იმერეთის) "მთავრებად" მხეიძეთა გვარის წევრები ისხდნენ. 736 წელს, არაბებმა მურვან ყრუს მეთაურობით, დალაშქრეს საქართველო. დამპყრობლებთან ბრძოლაში გმირულად დაიღუპნენ არგვეთის "მთავარნი" - დავით და კონსტანტინე მხეიძეები. ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ ძმები დავით და კონსტანტინე მხეიძეები წმინდანებად შერაცხა. მადლიერმა შთამომავლობამ დავით და კონსტანტინეს მონასტერი აუგო, და მათი გმირობის უკვდავსაყოფად ,,მოწამეთა" უწოდა.

ბატონმა ბორისმა ისაუბრა ასევე მხეიძეთა სამეგრელოს შტოს შესახებ, კერძოდ მათი უდიდესი წვლილის თაობაზე ახალსენაკის დაფუძვნების, ქალაქისთვის ადგილ-მამულის გადაცემისა და მისი განაშენიანების საქმეში. გაიხსენა ფირან მხეიძე და ასევე მისი შვილის პაატას (რომელიც იყო სამეგრელოს მთავრის, ბეჟან დადიანის სიძე) მონაწილეობა იმერეთის მეფის წინააღმდეგ მოწყობილ აჯანყებაში. ისაუბრა სენაკის მაზრის უფროსის კორნელი ბოროზდინის მოგონებებზე კინტირია მხეიძის შესახებ, გაიხსენა გრიგოლ მხეიძე. გადმოგვცა საინტერესო ინფორმაცია სენაკის საკალანდარიშვილო სასაფლაოზე მხეიძეთა, კერძოდ, მათი წარმომადგენლების, პოლკოვნიკ, სენაკის თავადაზნაურთა წინამძღოლის ფარნაოზ მხეიძისა და დიმიტრი მხეიძის საფლავების შესახებ... გაიხსენა სენაკის მკვიდრი ბესარიონ გრიგოლის ძე მხეიძე, მისი მონაწილეობა პეტერბურგში იმპერატორის სახელით გამართულ სეირნობაში. საინტერესოდ წარმოგვიდგინა გალაკტიონის მუზის მერი შერვაშიძის მშობლები, მისი დედა სენაკელი მხეიძეების წარმომადგენელი ნინო მხეიძე და მამა - აფხაზეთის თავადი, გენერალ-მაიორი - პროკოფი შერვაშიძე.. ისაუბრა საბჭოთა პერიოდის მხეიძეთა შესანიშნავ წარმომადგენლებზე - სენაკის მკვიდრ ერმილე მხეიძეზე, რომელიც იყო სოფლის მეურნეობის სფეროში მოღვაწე, ღვაწლმოსილი მუშაკი და პედაგოგ აკაკი მხეიძეზე, რომელიც იყო ჭალადიდის სკოლის ლიტერატურის მასწავლებელი.

ღონისძიების მსვლელობისას შუალედურად, ბატონმა დამირ კუჭავამ წარმოგვიდგინა ლექსი საქართველოს ეროვნული გმირის ჟიული შარტავს შესახებ, მოკლედ ისაუბრა მის ღვაწლზე. საღამოს არ აკლდა არც მუსიკალური ნომრები - რაინდული მანერით, შესანიშნავი ტკბილხმოვანებით შეასრულა სიმღერა სენაკის მკვიდრმა, ნიჭიერმა მოზარდმა ნიკოლოზ გრიგოლიამ, ასევე მუსიკალური მრავალხმოვანებით დაგვატკბო გოგონათა ტრიომ.

აფაქიძეთა გვარის ისტორია წარმოგვიდგინა, ჟიული შარტავას სახელობის სენაკის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სპეციალისტმა, ქალბატონმა გრიალა ანთიამ -

აფაქიძეთა საგვარეულოს ყველაზე ადრინდელი ისტორიულად ცნობილი პირი ცოტნე ჩხაგუს ძე აფაქიძეა, რომელიც იერუსალიმის ქართველთა ჯვრის მონასტრის აღაპებში მოიხსენიება. აფაქიძეთა სათავადო XV საუკუნეში ჩამოყალიბდა. აფაქიძეებს ეკუთვნოდა სოფელი ზანა, უშაფათი, მუჟავა, ეკი. აფაქიძეთა ერთი შტო დამკვიდრებული იყო ზემო სამეგრელოში, სოფელ საჩინოში. აქ, საჩინოს გარდა, ისინი ფლობდნენ (მთლიანად ან ნაწილობრივ) სოფელ კუხეშს, ნაგურუს, ეწერს. ზემო სამეგრელოში აფაქიძეთა სათავადოს ცენტრად ითვლებოდა სოფელი ეწერი ("სააფაქიო ეწერი"). საგვარეულო საძვალე ჰქონდათ წალენჯიხის მაცხოვრის ეკლესიაში.

აფაქიძეთა საგვარეულოს წარმომადგენლები ოდიშის სამთავროში განსაკუთრებით დაწინაურდნენ XVII საუკუნიდან. დადიანების კარზე ისინი ფლობენ სახლთუხუცესის, მოლარეთუხუცესის, დადიანთა "საპატრონოს" გამგებლების თანამდებობებს. აფაქიძეები დაწინაურებული ჩანან საეკლესიო ასპარეზზედაც. მეჩვიდმეტე საუკუნის პირველ ნახევარში ჭყონდიდელ ეპისკოპოსად ზის ევდემონ აფაქიძე. ამ მღვდელმთავარმა 1644 წ. მოაჭედვინა და შეამკო მარტვილის ხატი. ასევე მოაჭედვინა და მარტვილის მონასტერს შესწირა სახარება. ევდემონი გამოსახულია მარტვილის ტაძრის კედელზე, სამხრეთ კარის მარჯვენა მხარეს წარწერით: "მამა ჭყონდიდელი ევდემონ აფაქიძე".

ქალბატონმა გრიალამ ისაუბრა სენაკის მკვიდრი, ცნობილი არქეოლოგის, ბატონ ანდრია აფაქიძის ღვაწლზე, ასევე, ვიდეო ფირით წარმოგვიდგინა ანდრია აფაქიძის შესახებ მისი მოსწავლის ჯონი აფაქიძის (მონაწილეობდა ტროას გათხრებში) მოკლე ინტერვიუ, რომელმაც ისაუბრა ბაკურციხის გათხრებზე და მის უდიდეს როლზე ქართული მეცნიერების და არქეოლოგიის განვითარებაში. ქალბატონმა გრიალამ ისაუბრა პლატონ აფაქიძეზე - კონსტანტინე დადიანის მოურავზე, მიხეილ აფაქიძეზე, რომელიც წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა ჭიათურ-მანგანუმის ტრესტს და მათ ღვაწლზე.

ღონისძიებას ესწრებოდნენ სენაკის მკვიდრი მხეიძეთა და აფაქიძეთა წარმომადგენლები, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი, ბატონი გივი მისაბიშვილი, სენაკის მუნიციპალიტეტის საჯარო ბიბლიოთეკის თანამშრომლები და საზოგადოების წარმომადგენლები. გვარის სახელით სამადლობელი სიტყვებითა და საინტერესო ისტორიებით წარსდგნენ: აფაქიძეთა მხრიდან - ბატონი ელგუჯა (ჯამბული) აფაქიძე; მხეიძეთა მხრიდან - ბატონი ზაზა მხეიძე, ქალბატონი ნათელა მხეიძე. ქალბატონმა ლია ქობალავამ გაიხსენა საინტერესო ეპიზოდი სენაკიში მხეიძეთა შტოს წარმომადგენლებთან მისი ურთიერთობისა. დარბაზის წინაშე სიტყვით წარსდგა ჟიული შარტავას მუზეუმის სპეციალისტი, ქალბატონი მარინე აბრამია, ისაუბრა ღონისძიების მნიშვნელობაზე. საღამოს დასასრულს ბატონმა დამირ კუჭავამ დასკვნითი სიტყვით მიმართა აუდიტორიას, მადლობა გადაუხადა მათ.

ღონისძიებიდან დარჩენილმა შთაბეჭდილებამ არ დააყოვნა და მათქმევინა - თითოეულმა ჩვენგანმა ფუნდამენტურად უნდა გავაცნობიეროთ, ვინ საიდან მოვდივართ - ,,ვისი გორისანი ვართ", და გვარიშვილობის, მამულიშვილობის ეგიდით, ჩვენი ერთადერთი საფიცარი სამშობლოს, ფიზიკურად და სულიერად მთლიანი და განუყოფელი საქართველოს სიყვარულით გავერთიანდეთ .

გიორგი გარუჩავა

ახალი წიგნები

„წავუკითხოთ უფროსებს“



გამოვიდა ცნობილი ჟურნალისტის, ,,დილის გაზეთის" რედაქტორის მანანა კარტოზიას ზღაპრების წიგნი ,,წავუკითხოთ უფროსებს".

წიგნში თავმოყრილია 7 არაჩვეულებრივი ზღაპარი, რომელიც ალეგორიის შესანიშნავი ნიმუშია. ჩოჩრების, ბატკნების, კუების, მამლების, თუთიყუშის, სპილოს თავგადასავალში ნაგულისხმევი არიან ადამიანები. გამოვყოფდი ზღაპარს ,,ოფელინა", რომელიც მდინარე ტეხურის პირას მდებარე სოფელში მცხოვრებ დარბაისელი კუს– სიმონის ოჯახის ისტორიას გვაცნობს. ახალგაზრდა კუს– ბიჭიკოს მეოთხე კლასიდან უყვარს ოფელინა. სიმონი ხვდება შვილის გულის ნადებს და მოკრძალებულ ქორწილს უხდის ახალგაზრდებს. გადის წლები, ცხოვრება არაერთ გამოცდას უწყობს წყვილს, მაგრამ იმდენად ძლიერია სიყვარული, რომ მრავალი განსაცდელის გაძლების უნარს სძენს მათ.

ზღაპარში ,,უკანასკნელი მოგზაურობა" გეოგრაფიული ჟურნალის ,,ნეშენელ გეოგრაფიკის,, ასისტენტი თუთიყუში მანამუ ჟურნალის კორესპონდენტებთან ერთად აფრიკაში მიემგზავრება სპილოების 100 წევრიან ოჯახზე დასაკვირვებლად. თუთიყუში 80 წლის დედასპილოს აედევნება. მანამუ თავს პროფესიონალად თვლის. კამათი, საუბრები, მოგზაურობა შეაცნობინებს მას, რომ ადამიანმა სწორად უნდა იცხოვროს.

,, თუ ღირსეულად იცხოვრე, გაიბმება მახსოვრობის ბაგირი. ერთი მხრიდან შენი მონაგარი ჩაეჭიდება მას, მეორე მხარეს ღრუბლებზე ჩამომსხდარი შენი წინაპრები იქნებიან და თავადაც გამოეკერები ცასა და მიწას შორის-,თუ არადა შეიძლება დავიწყების უფსკრულში გადაიჩეხო"–ეს არის ზღაპრის დედააზრი. სახარებისეული ილუზიებით არის დამუხტული ზღაპარი ,,შერიგება", პირველობისთვის ბრძოლა მთავარი თემაა კიდევ ერთ ზღაპარში ,,პირველობის ასპარეზი", ბუნებისა და სამყაროს საგანძურის დაცვას ეძღვნება ,,აბჯარასხმული ია".

წიგნს ამშვენებს ,,ზღაპრის სიტყვანი", სადაც ავტორი განმარტავს გამოყენებულ ახალ სიტყვებს, იდიომებს, ფრაზეოლოგიზმებს.

წიგნის რედაქტორია ელზა ნაბახტეველი, არტრედაქტორი ბესიკ დანელია, მხატვარ-ილუსტრატორი ია გიგოლაშვილი. პროექტი განხორციელდა საქართველოს კულტურის სამინისტროს ხელშეწყობით.

წიგნი გამოირჩევა შესანიშნავი დიზაინით, მხატვრობით, გარეკანით, ფერით, შრიფტით. გამომცემელი გახლავთ ,,სეზან ფაბლიშინგი". წიგნი დაიბეჭდა თანამედროვე მაღალი ტექნოლოგიებით აღჭურვილ სტამბა ,,სეზანში".

სენაკელი მკითხველის სახელით ვულოცავ მანანა კარტოზიას წიგნის გამოცემას. ჯადოსნური ამბებით, მშობლიური კუთხის სიყვარულით (ქალბატონი მანანა წარმოშობით სოფელ ნოქალაქევიდანაა), ალეგორიული მინიშნებებით აღსავსე კრებული საუკეთესო საჩუქარია როგორც უფროსი, ასევე უმცროსი თაობის მკითხველისათვის.

მედეა ბაღათურია

ცოდნა ქმნის მომავალს

წარმატებული ახალგაზრდა

მტკიცება არ სჭირდება იმ ფაქტს, რომ ქვეყნის მომავლის შენებაში გადამწყვეტი როლი ეკუთვნის ახალგაზრდობას. ჩვენს მუნიციპალიტეტში არაერთი ახალგაზრდაა, რომელიც თავის დიდ პოტენციალს წარმოაჩენს და ქვეყნის ფარგლებს გარეთ გააქვს ჩვენი პატარა ქალაქის სახელი.

რუბრიკის ,,ცოდნა ქმნის მომავალს" ფარგლებში გაგაცნობთ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის (KIU) მენეჯმენტის ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტს, გვანცა ჩიქოვანს. გვანცა ტრადიციულ ქართულ ოჯახში დაიბადა და გაიზარდა. დედა - შორენა ხოშტარია, სტომატოლოგიური კლინიკა ,,ინოვა დენტი"-ს დამფუძნებელი, სტომატოლოგთა ასოსიაციის რეგიონალური წარმომადგენელი წარმატებულ სპეციალისტად ითვლება. მამა - ჯამბულ ჩიქოვანი, პროფესიით ინჟინერ-მშენებელი, ასევე წარმატებულად საქმიანობს ტურიზმის სფეროში. ექიმ-სტომატოლოგია გვანცას და სალომე (სერტიფიცირებული პარადონტოლოგი). გვანცას აღზრდაში დიდი წვლილი მიუძღვით ბებია და ბაბუას - ლეილა ლემონჯავა-ხოშტარიას და ლერი ხოშტარიას. ქალბატონი ლეილა რეგიონალური ჟურნალისტიკის თვალსაჩინო წარმომადგენელი და მრავალი წიგნის ავტორია. პოლკოვნიკი ლერი ხოშტარია კი წლების განმავლობაში მუშაობდა სხვადასხვა მაღალ თანამდებობებზე.

განათლებულ ადამიანთა ოჯახურმა გარემომ შესაძლებლობა მისცა გვანცას გამოემუშავებინა წიგნის სიყვარული, შრომისმოყვარეობა, სხვათა შეხედულებებისა და აზრების პატივისცემა. მაღალი აკადემიური მოსწრებით გამოირჩეოდა იგი, ჯერ კერძო სკოლა ,,ალბიონში", შემდგომ ალექსი შუშანიას სახელობის მარ-

თლმადიდებლურ სკოლა-გიმნაზიაში სწავლის წლებში. არის არაერთი სასკოლო პროექტის მონაწილე და გამარჯვებული. უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ სკოლა-გიმნაზიაში, ეროვნული სასწავლო პროგრამების პარალელურად დიდი ყურადღება ექცევა მოსწავლეების დაინტერესებას სხვადასხვა აქტივობებით.

2017 წელს გვანცამ და მისმა მეგობარმა NASA-ს კოსმოსური ცენტრის უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამაში მიიღეს მონაწილეობა. 27 თებერვალს NASA-ში გამგზავრების უფლება მოიპოვეს. დავით სონღულაშვილისა და უტა კილასონიას მენტორობით შექმნეს ხელსაწყო, რომელიც ზომავს მიწის ქანების მოძრაობას, პროგნოზირებს მეწყერს და SMS-ის სახით ინფორმაციას აწვდის დარეგისტრირებულ მოსახლეობას.

NASA-ს კოსმოსური ცენტრის უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამა, რომელიც 2017 წლის 1-5 მაისს გაიმართა, გახლდათ ინტენსიური სასწავლო კურსი. უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამა მოიცავდა მეცნიერებებით, ინოვაციებით და ტექნოლოგიებით გამდიდრებულ დავალებებს, რაც ხელს უწყობს გამომგონებელთა ახალი თაობის პროფესიულ ზრდას. შემდეგ, 2017 წლის გაზაფხულზე, ფიზიკის საერთაშორისო მასტერკლასში მონაწილეობისათვის მოიპოვა CERN-ის საერთაშორისო სერტიფიკატი. 2019 წელს წარმატებულმა ახალგაზრდამ მონაწილეობა მიიღო ფინეთში, საერთაშორისო ეკოლოგიურ სამიტში, რომელშიც სამოცდათხუთმეტი ქვეყანა მონაწილეობდა.

გვანცა ჩიქოვანმა სკოლის ოქროს მედალზე დამთავრების შემდეგ 50%-იანი სახელმწიფო გრანტით სწავლა

გააგრძელა ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტში. სხვადასხვა დროს იყო კომპანია ,,ERA"-ს, ,,საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის" და ,,Elit Audit - ის სტაჟიორი. 2024 წლის 15-21 აპრილს მონაწილეობდა რასმუს + საერთაშორისო ახალგაზრდულ გაცვლაში, საფრანგეთში. ასევე 23-24 მაისს წარმატებით გაიარა ერასმუს + ტრენინგ კურსი პოლონეთში . . . 2024 წლის 22 სექტემბრიდან 2 ოქტომბრამდე ერასმუს + ახალგაზრდული გაცვლის პროგრამის ფარგლებში, გვანცა იმყოფებოდა ხორვატიაში, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს, სერბეთის, ხორვატიის, რუმინეთისა და უკრაინის ოცდაათი მონაწილე.

შემდეგი ეტაპი იყო 23-25 დეკემბერს და 19-26 დეკემბერს გვანცას მონაწილეობა თურქეთში (ორჯერ) ერასმუს + პროექტის ფარგლებში. მონაწილეებმა ისწავლეს როგორ გარდაქმნან იდეები მდგრად და მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებად, რაც ხელს შეუწყობს მათ პიროვნულ და პროფესიულ განვითარებას.

2025 წლის თებერვალში გვანცა შეუერთდა საერთაშორისო კომპანია Solvd, Ins-ს, როგორც ხარისხის უზრუნველყოფის ინჟინერი. ამით მას, საინტერესო შესაძლებლობა მიეცა, წვლილი შეიტანოს პროგრამული უზრუნველყოფის ხარისხის განვითარებაში. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია გვანცას მონაწილეობა - Change the World Model Uanited Nation (CWMUN) კონფერენციაში, რომელშიც მონაწილეობდა 133 ქვეყნის დელეგატი. კონფერენცია გაიხსნა გაეროს გენერალური მდივნის ანტონიო გუტერეშის ვიდეომიმართვით. მონაწილეებმა ასევე მოისმინეს სხვა გამომსვლელების ხედვა და გამოცდილება. განსაკუთრებით საინტერესო იყო პანელური დისკუსიები. ,,ჩვენი დროის მსოფლიო" - მიმოხილვაზე ისაუბრეს: ჯამპიერო მასოლომ, მარია ლატელამ, მაურო პორჩინიმ და სხვებმა. აქ მონაწილეობა და შეხვედრები იყო ფასდაუდებელი გამოცდილება, რომელმაც გააღრმავა არა მხოლოდ ცოდნა, არამედ ახალგაზრდების ჩართულობა გლობალური პრობლემების გადაჭრაში.

ძალიან მდიდარია ასეთ ახალგაზრდულ ასაკში გვანცა ჩიქოვანის ბიოგრაფია, რომელიც აღსავსეა წარმატებებით, სიახლეებით, ინოვაციებით.

გაზეთ ,,კოლხეთის" რედაქციის სახელით ვულოცავთ მას აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს, ვუსურვებთ კვლავაც წარმატებულ საქმიანობას ქვეყნის საკეთილდღეოდ.

მ. ეჯიბია

მუსიკალური გაზაფხული 2025

(ლექცია-კონცერტი, მიძღვნილი სულხან ცინცაძის 100 წლისთავისადმი)

ადამიანი, თავისი თანდაყოლილი შემოქმედებითი და წარმოსახვის უნარით, მის მიერ შექმნილ ,,ნაწარმოებებში", გამოხატავს ინტელექტუალურ პოტენციალს, შინაგან განწყობებს, რომელიც აერთიანებს სინამდვილისა თუ მოგონილის სხვადასხვა მხატვრულ ფორმებს. დიახ! - სიტყვა ხელოვნება აღიქმება როგორც ბუნების საპირისპირო ცნება, მოკვდავის თანდაყოლილი ინტელექტისგან წარმოებული პროდუქტი, ამ გაგებით მას მიეკუთვნება ყველაფერი, რაც ,,ხელით ქმნილია", ანუ შექმნილია ადამიანის (ხელოვანის) მიერ.

,,ხელით ქმნილის", ანუ ხელოვნების ერთ-ერთი ესთეტიკური დარგთაგანია მუსიკა, სადაც მოკვდავის შინაგან სამყაროში ჩაბუდებული იდეები, განცდები გამოისახება რიტმების, ბგერების თანაწყობით, მას დიდი ადგილი უჭირავს ადამიანთა საზოგადოების ცხოვრებაში; იგი ჩვენი სამყაროს კულტურის ერთ-ერთი უმაღლესი გამოვლინებაა. მუსიკის ფუნდამენტი მელოდიაა, მისი მხატვრული გამდიდრება ხდება ხელოვნების სხვა დარგებთან შეხამების გზით, მაგალითისთვის - პოეზიასთან მუსიკის სინთეზი ქმნის ვოკალურ მუსიკას, ცეკვასთან ან ერთდროულად ხელოვნების რამდენიმე სახეობასთან - ოპერას, ბალეტს, კინომუსიკას და ა.შ.

საფორტეპიანო ნაწარმოებები - ,,საჭიდაო", ,,პატარა ჩიტის ჩივილი", კინომუსიკები - ,,აბეზარა", ,,მაიას სიმღერა" და ა.შ. წარმოადგენენ დიდი ქართველი კომპოზიტორის ბატონი სულხან ცინცაძის თანდაყოლილი შემოქმედებითი ბუნებიდან ნაწარმოებ მუსიკალური ინტელექტუალური პოტენციალის პროდუქტს, რომელმაც, შედეგად, დიდი წვლილი შეიტანა თანამედროვე ქართული კულტურის გამდიდრებაში.

2025 წელი, ქართული მუსიკალური ოჯახისთვის სიმბოლური თარიღია - ბატონ სულხან ცინცაძეს დაბადებიდან 100 წელი შეუსრულდებოდა.

მიმდინარე წლის 10 აპრილს, აღნიშნულ თარიღთან დაკავშირებით, სენაკის საჯარო ბიბლიოთეკაში, ღვაწლმოსილი პედაგოგის, ქალბატონ ლია ქობალავას ორგანიზებით ჩატარდა საიუბილეო საღამო, რომელიც გამოირჩეოდა თავისი ორიგინალური ფორმით და შინაარსით (ლექცია-კონცერტის სახით).

საღამო, მოკლე შესავალი სიტყვით, გახსნა ბიბლიოთეკის სპეციალისტმა, ქალბატონმა ლუიზა კემულარიამ, რომლის შემდეგაც ღონისძიებას წარუძღვა ქალბატონი ლია ქობალავა, მან ქველმოქმედების სახით, მისი კუთვნილი წიგნების და ნოტების ნაწილი გადასცა ბიბლიოთეკას, რითაც მოკრძალებული წვლილი შეიტანა მანდ არსებული წიგნადი ფონდის გამდიდრებაში. ქალბატონმა ლიამ დამსწრე აუდიტორიას გააცნო ბიბლიოთეკისთვის საჩუქრად გადაცემული წიგნების მოკლე შინაარსი, მათი მნიშვნელობა მუსიკის მოყვარულთა ახალი თაობების ჩამოყალიბებაში. ცნობილ ავტორებთან ერთად ყურადღება შეჩერდა ქალბატონი ლია ქობალავას ავტორობით გამოცემულ წიგნზე ,,მუსიკა არსი", რომელიც 2003 წლით თარიღდება. წიგნი მიეძღვნა სენაკის სამუსიკო სკოლის დაარსებიდან 75 წლისთავს. მასში შეტანილია საინტერესო მასალები სკოლის ცხოვრებიდან, გაშუქებულია საიუბილეო თარიღები, თითოეული პედაგოგის მიერ წლების მანძილზე გაწეული საქმიანობა.

ყურადსაღებია, რომ სენაკის ხელოვნების ცენტრის დიდი საკონცერტო დარბაზი ატარებს სახელოვანი კომპოზიტორის - სულხან ცინცაძის სახელს, სადაც, მაქსიმალური დატვირთვით, ტარდება კონცერტები, შეხვედრები და მრავალი სხვა ღონისძიება.

მუსიკალურ სასწავლებელს სრულფასოვნად განახლებული შენობა (ყოფილი სასტუმრო) ექსპლუატაციაში გადაეცა 1984 წლიდან, ადრე კი საკონცერტო დარბაზი საერთოდ არ არსებობდა. იმ დროინდელმა ცხაკაიას რაიონის მმართველებმა, ბატონ ვახტანგ ესვანჯიას ხელმძღვანელობით, გადაწყვიტეს შენობის რეკონსტრუქცია (ინიციატივა ეკუთვნოდა ქალბატონ ლია ქობალავას), მათი დიდი მხარდაჭერით და თანადგომით გაკეთდა ეს შენობა - 2 საკონცერტო დარბაზით და 37 საკლასო ოთახით. აღნიშნულ საქმეს ხელი შეუწყო ბატონების სულხან ცინცაძისა და ვახტანგ ესვანჯიას მეგობრობამ, ურთიერთთანადგომამ. ამჟამად მიმდინარეობს რემონტი და მალე აღსაზრდელები მიიღებენ განახლებულ საკლასო ოთახებს და დარბაზებს.

ღონისძიების საკონცერტო ნაწილი მეტად საინტერესო იყო. შესრულდა კომპოზიტორ სულხან ცინცაძის საფორტეპიანო ნაწარმოებები და სიმღერები კინოფილმებიდან. სოლო /ანსამბლი/ ,,საჭიდაო" შეასრულეს მესამე კლასის მოსწავლეებმა: ქეთი სალაყაიამ და ანამარია ჯიშკარიანმა; ,,პატარა ჩიტის ჩივილი" კრებულიდან ,,ტყის ბინადარნი" შეასრულა მეორე კლასის მოსწავლემ მარიტა სახოკიამ (ეს ხელნაწერი კრებული, კომპოზიტორმა პირადად გადასცა საჩუქრად ქალბატონ ლია ქობალავას).

სიმღერები კინოფილმიდან ,,აბეზარა" შეასრულეს გამოსაშვები კლასის მოსწავლეებმა ელენე ლომაიამ და მარიამ ბუკიამ. მარიამ და ანანო გადელიებმა შეასრულეს ,,მაიას სიმღერა" კინოფილმიდან მაია წყნეთელი (პედაგოგ მანანა ზარქუას კლასი). კონცერტზე აჟღერდა ასევე პროგრამული მუსიკა: შ.თაქთაქიშვილის ,,წისქვილში", /ანსანბლი/ შეასრულეს მარიამ და ბარბარე აკობიებმა. ა. მაჭავარიანის ,,ბურთი" შეასრულა მეოთხე კლასელმა ბარბარე აკობიამ. ჯ.ვერდის ოპერიდან ,,რიგოლეტო" - ,,ჰერცოგის არია", /ანსამბლი/ შეასრულეს ანამარია ჯიშკარიანმა და ქეთი სალაყაიამ (პედაგოგ ლია ქობალავას კლასი). ლექცია-კონცერტში მონაწილეობდნენ ასევე, პედაგოგ ლია ქობალავას გამოსაშვები მეშვიდე კლასის მოსწავლეები (მუსიკის ლიტერატურის ჯგუფი). შეკითხვები და საუბარი შეეხო კომპოზიტორ სულხან ცინცაძის ცხოვრებას და შემოქმედებას. ხელოვნების ცენტრის მეშვიდე კლასის მოსწავლემ დანიელ ხუნწარიამ ზოგადად ისაუბრა სულხან ცინცაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ - სულხან ცინცაძეს მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა სხვადასხვა თაობის დიდ ქართველ კომპოზიტორთა შორის, ის სპეციალობით იყო მუსიკოსი ვიოლენჩელის განხრით, განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი შემოქმედებითი მოღვაწეობა კინოში, თეატრში, სიმფონიური და კამერული ჟანრის სახეობებში, ცალკე აღნიშვნის ღირსია საკვარტეტო მუსიკა, რომელიც ღირსეულად ჩაეწერა მსოფლიოს საკვარტეტო ხელოვნების კლასიკურ ფონდში. საღამოს ესწრებოდნენ მოსწავლეები: ანანო ღაღანიძე, ბარბარე სანაია, გვანცა ბარამია, ლიზა ქაჯაია, ანა კილასონია. დისციპლინის პედაგოგმა ლია ქობალავამ ხასგასმით აღნიშნა, რომ მუსიკის ლიტერატურის ღრმა ცოდნა სავალდებულოა თითოეული მოსწავლისთვის. შეხვედრის ორგანიზებულად ჩატარებაში დიდი დახმარება გასწია სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელმა გულნაზ ქაჯაიამ.

დაუვიწყარი გახადა 10 აპრილი ჩვენი ქალაქის დამსწრე ინტელიგენციამ - მოგონებები, სურვილები, შთაბეჭდილებები თითქოს ავსებდნენ და ალამაზებდნენ ჩვენი კულტურული ცხოვრების წარსულს. სენაკის საპატიო მოქალაქემ ქალბატონმა მზია ბარქაიამ გაიხსენა 80-იანი წლების ეგრისობა, როდესაც მის ოჯახს ესტუმრნენ ბატონები სულხან ცინცაძე, ირაკლი უჩანეიშვილი და ანზორ შომახია. სიტყვით გამოვიდნენ ჩვენი ქალაქის ექიმ-კარდიოლოგი ქალბატონი ელისო ხარბედია, კულტურის ცენტრის სპეციალისტი ქალბატონი ლია ღვამბერია, პედაგოგები კესო პაპავა და დოდო ჭანტურია.

დასასრულს მხატვრული კითხვის ოსტატობით კიდევ ერთხელ გვასიამოვნა ქალბატონმა მზია ბარქაიამ, რომელსაც თანხლება გაუკეთა ლექცია-კონცერტის სულის ჩამდგმელმა ლია ქობალავამ, მან შეასრულა ფრედერიკ შოპენის პრელუდია მი-მინორი. მასპინძლების სახელით, დასკვნითი ნომრით გამოვიდა ბიბლიოთეკარი, ქალბატონი ნაირა ფოფხაძე, რომელმაც მხატვრული ოსტატობით წაიკითხა ლექსი.

დრომ, ქალბატონი ლიას ხელმძღვანელობით შექმნილ ჯადოსნურად საინტერესო მუსიკალურ სივრცეში, სწრაფად ჩაიფრინა, ,,ფარდობითობის თეორიამ" პრაქტიკაში გაიღვიძა - მართლაც, ინფორმაციულად საინტერესო, მუსიკალურად მდიდარ საღამოს კიდევ, კიდევ, კიდევ დიდხანს დავესწრებოდი და დავტკბებოდი მისი შემოქმედებითი სურნელით.

გ. გარუჩავა

დედობა უდიდესი პასუხისმგებლობაა

შვილის სიყვარულს ლიმიტი არა აქვს,
ვერავინ ამოხსნა დღემდისრა არის ეს ძალა, დედის და შვილობის,
სამყაროს შექმნიდან დღემდის.
(დიკა სალაყაია)

მრავალშვილიანი დედა ქვეყნის საყრდენია, მისაბაძი მაგალითია მომავალი თაობისთვის, მრავალშვილიანი დედა ღვთისაგან კურთხეულია და ცხონების იმედით გამსჭვალული. რამეთუ პავლე მოციქული ბრძანებს: „ქალი შვილთა სხმით ცხონდება".

ხატია შონიას და გიორგი ჭანტურიას 4 შვილი ჰყავთ: 13 წლის ლევანი, 11 წლის დავითი, 7 წლის ანა და 6 თვის მარიამი.

ჩვენი რესპონდენტი ამბობს, რომ ბევრი შვილი დიდი სიმდიდრეა. ის მრავალშვილიან დედობისა და მთავარ გამოწვევებზე გვიყვება

ხატია, დღეს ხშირად გაიგებ: ერთი ბავშვი ძლივს გავზარდე, თქვენ როგორ ახერხებთ ოთხი შვილის აღზრდას? პირველი შვილი რა ასაკში შეგეძინათ?

ეს კითხვა ღიმილს მგვრის...სიმართლე გითხრათ მარტივი ნამდვილად არ არის. იყო ოთხი შვილის დედა უდიდესი პასუხისმგებლობაა, მაგრამ ამავე დროს ისეთი ბედნიერებაა, სიტყვებით ვერ აიხსნება. პირველი შვილი 23 წლის ასაკში გავაჩინე და თითქოს იმ წამიდან სრულიად ახალი ადამიანი გავხდი. -უფრო ძლიერი, მომთმენი, სიყვარულით სავსე. ახლა კი როცა ოთხი შვილის დედა ვარ, ყოველდღე მადლიერი ვარ ამ ბედნიერებისთვის.

უფროსები რამდენად არიან პატარა დაიკოების აღზრდაში ჩართულნი?

სწორედ ის მომწონს ჩვენს ოჯახში, რომ

ყველა ერთმანეთზე ზრუნავს.უფროსები საოცარ მზრუნველობას, სითბოს და სიყვარულს ავლენენ პატარების მიმართ. ჩვენ ერთი დიდი გუნდი ვართ, რომელიც ერთმანეთს აძლიერებს.

თქვენ რამდენად ახერხებთ ბავშვების სასკოლო აქტივობებში ჩართვას?

ბავშვები ძალიან განსხვავდებიან ინტერესებით ერთმანეთისგან.ყველას თავისი პატარა სამყარო აქვს. ვცდილობ, მათ ეს თავისუფლება არ დავუკარგო. ერთს სპორტი უყვარს, მეორეს ცეკვა, მესამეს მუსიკა... მეც ვცდილობ, ყველა ამ სამყაროში ვიყო მიწვეული სტუმარი. ნებისმიერ მათ ღონისძიებაზე თუ აქტივობაზე მეც ვარ იქ ყველაზე წინა რიგში,რადგან ვიცი, რომ ჩემი აპლოდისმენტი მათთვის ყველაზე ფასეულია.

შვილების გაზრდა უდიდესი ტვირთი და პასუხისმგებლობაა, იყო 4 შვილის დედა, კარგი მეუღლე, კარგი შვილი, კარგი რძალი, კარგი დიასახლისი, მეგობრებისთვისაც გრჩებოდეს დრო, მარტივი არ არის. სწორედ ასეთი დედა ხართ თქვენ. როგორ ახერხებთ?

საიდუმლო ბალანსშია და სიყვარულში. ყველაფერი სიყვარულით იწყება. დიახ, ბევრი როლი მაქვს. არ ვამბობ, რომ არ ვიღლები. არის რთული დღეებიც, მაგრამ მაქვს მეუღლის მხარდაჭერა, რაც ჩემთვის უმნიშვნელოვანესია. გიორგი შემოსავლების სამსახურში მუშაობს და დროის დეფიციტს განიცდის, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში მუდამ გვერდით მიდგას, ესმის ჩემი, მაფასებს და უპირობოდ ვუყვარვარ. როცა ოჯახი ერთიანია თითქმის შეუძლებელიც კი შესაძლებელი ხდება.

ყველა დედას აქვს აღზრდის საკუთარი მეთოდი, თქვენს შემთხვევაში რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი ამ პროცესში?

მშობელი არ უნდა იყოს მხოლოდ მმართველი, უნდა იყოს გულისხმიერი, თანამგრძნობი, თანაზიარი. ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ ბავშვი იყოს გახსნილი და თავისუფალი საკუთარი თავის გამოხატვაში. დისციპლინაც საჭიროა, მაგრამ ყველაზე მთავარი მაინც ნდობაა, როცა ბავშვს შეუძლია მშობელთან გულახდილად საუბარი. ნდობაა ის ძირი, რომელზეც ყველაფერი დგას.

- რას ურჩევთ იმ დედებს, რომლებსაც ბევრი შვილის გაჩენა აშინებთ?

დედობამ გამზარდა. მან მასწავლა მოთმინება, სიმშვიდე და ძლიერება. მინდა ვუთხრა ყველა დედას, ვინც ფიქრობს, რომ ვერ შეძლებს... ნუ შეგაშინებთ ყოველდღიურობის სირთულე, სიხარული ბევრად დიდია. დედობა არ არის მსხვერპლი - დედობა არჩევანია და როცა ამ გზას გაბედულად ირჩევ უფალი მუდამ გვერდით გიდგას.

მაია გერგაია

დავით ვახანიას გახსენება კი არა - ხსოვნა!

პედანტი, როგორც ეგონათ?! - სულაც არა! - პერფექციონისტი? - დიახაც: მისი ,,სულიერი კონსტიტუციის" ნორმებში არ ჯდებოდა ის, რაც მრავალთათვის მისაღები იყო: სხვა განზომილებები ჰქონდა, სხვაგვარი სიმეტრიები, პარალელები და ჰარმონია, განსხვავებულად შეფასებული ღირებულებები.

...საცხოვრისს რომ იშენებდა, მუშები, გასაგები მიზეზით, ზოგჯერ ბრაზობდნენ, მაგრამ ვერაფერი შეჰკადრეს ამ ,,გაპიწკინებულ" კაცს, რომელსაც მთელ დასავლეთ საქართველოში ყველა კრძალვით იხსენიებდა, თვით უმკაცრესი ტერენტი მასწავლებელიც კი... და იქმნებოდა ,,ქვათა ჰარმონია ცაში აზიდული". რა ექნა ბატონ დავითს, თუ ყველაფერს განსხვავებულად (და გემოვნებიანად) ხედავდა?! მშენებლებიც სულ ,,ბატონოთი" და ,,თქვენობით" მიმართავდნენ, - ეს იყო საოცარი.

სიმპათიური, ჭკვიანი, წიგნიერი, ეროვნული კაცი ქალების ნებიერა იყო. მან (მისმა გულმა) ურიდიების ლამაზთვალება გოგო შეარჩია, სახელოვანი ოჯახის შვილი, ქალბატონი რუსუდანი. შექმნა ტრადიციული ქართული ოჯახი. შვილები: კესარია და დავითი ღირსეულ მოქალაქეებად და პროფესიონალ ექიმებად ჩამოყალიბდნენ. შვილიშვილები ლევანი და სესილი ჯერ არ დასდგომიან ცხოვრების რთულ გზას, თუმცა, ლევანმა ექიმობა ირჩია. ცხოვრობს ოჯახი დიდი წინაპრის დავით ვაჰანიას სახელობის ქუჩაზე.

ყველამ იცის, რომ დავით ვახანია შეუდარებელი ექიმი იყო. მან ხომ ჰიპოკრატეს ფიცთან ერთად დადო ქართველი ვაჟკაცის ფიციც.

ამბობენ: ექიმებში არ მოდისო ღირსეული კოლეგის აღიარება, მაგრამ როცა დავით ყიფიანის მამას პაციენტი ჩაუყვანეს თურმე, თქვა: ვერ გავიგე, ჩემთან რატომ მოდიან დასავლეთ საქართველოდან, იქ ხომ დავით ვახანია ჰყავთო?!

მკაცრი კი არა, მომთხოვნი იყო: იმას მოითხოვდა, რასაც თავად გასცემდა: პატიოსნებას, წესრიგს, გულმართლობას, საქმისა და სიტყვისათვის გონების დატანებას.

...იუველირის სიფრთხილითა და ესთეტიკით აკეთებდა სამედიცინო ოპერაციებს, პაციენტები აღმერთებდნენ.

უზომოდ უყვარდა ცოლი და შვილები. მეუღლეს პატივს სცემდა, რომ მის რთულ ხასიათს ასე უგებდა.

დღეს რომ მისგან ინტერვიუს აღება შეიძლებოდეს, ცხოვრების საუკეთესო დღეებად შვილებისა და შვილიშვილების მოვლინებას და თავის ბავშვობას დაასახელებდა. მარტო იმის აღიარება რად ღირს, რომ პირველი შვილის პირველი ფეხსაცმელი საკრალურ ნივთად აღიქვა და შეინახა.

შორეული ასოციაციით, დუმბაძის გმირს უთხრეს, რომ სხვისი გული არ გამოადგებოდა და ვერც ბატონ დავითს ,,გამოადგა" სხვისი სხეულის ნაწილი. გარკვეული დროის შემდეგ, მაგრამ მაინც გარდაიცვალა.

სანთლები? - მეგრული ფუტკრის ფიჭისგან გამოძერწილი, ყვავილები? - ტყაშმაფას მიერ კოლხურ დაბლობზე დაკრეფილი, ლოცვა? - ოჯახის, მეგობრების, მადლიერი პაციენტებისა არის ბატონ დავით ვახანიას საფლავის სამშვენისი, საფლავისა და იმქვეყნიური ცხოვრების.

ნანი ყიფიანი

„საფერებლად მარად შენსკენ მოვიჩქარი"

პოეზია ისევე მარადიულია, როგორც მზის სინათლე. ადამიანები მიდიან და მოდიან, თაობა თაობას ცვლის, მაგრამ ლამაზად ნათქვამი სტრიქონები თავისთავად აგრძელებენ სიცოცხლეს.

ბიეტა აბშილავას პოეზია მუდამ გვატკბობდა. მისი მეგობრობა და სიახლოვე ენერგიას გვმატებდა, თუმცა საწუთრო მარადიულად არ გვიფარებს.

წლებმომრავლებული წავიდა ჩვენგან, ვალმოხდილი პოეტი ქალბატონი, რომელმაც დაგვიტოვა არაჩვეულებრივი, სასიყვარულოდ, სასიმღეროდ, თავის მოსაწონებლად, მოსაფერებლად თუ საომრად დაწერილი ლექსების წიგნები. ამასთან ქსოვილზე ამოქარგული ცნობილ პიროვნებების ხელმოწერები, რომლის მსგავსის შექმნა ბიეტამდე არავის უცდია.

უამრავი გამოფენა და წიგნების წარდგენით გაუხარებია ქართველი თუ უცხოელი, რომლის მონაწილე არა ერთგზის ვყოფილვარ. ჩვენ მივეჩვიეთ ამას, რადგან წინასწარ ვიცოდით თუ რას შემოგვთავაზებდა საგამოფენო დარბაზი, სადაც ბიეტას ნამუშევრები გამოიფინებოდა .

გამორჩეულად უყვარდა საკუთარი ოდაბედე - სენაკი. ეთაყვანებოდა მის ყოველ კუთხე - კუნჭულს , მშობლიური მთა -ველები, მდინარე ტეხური და ეგრისის ჟამგამოვლილი წარსული ემოციებს მატებდა, ამიტომ მიუძღვნა უამრავი შესანიშნავი ლექსი.

არ გამოტოვებდა შემთხვევას საზეიმოს თუ არა სალხინოს, რომ არ ჩამოსულიყო და არ გაეზიარებინა ადამიანების სიხარული თუ ვარამი.

,,გზად ტეხური, ცივის წყალი,
მხვდება მთვარის ლამპიონით...
ჩემს სენაკში მელის ღამით მოკაზმული ალიონი.
საფერებლად, საალერსოდ, მარად შენკენ მოვიჩქარი,
და თუ სადმე შემაყოვნეს, ამაჩქარებს ზურგის ქარი.
რადგან მეც ვარ ჯარისკაცი, მტერი რომ არ გაგიხარო.
ჩემო დედის თბილო გულო, თვალისჩინო საფიცარო. "

სწორედ საკუთარმა ქალაქმა მიულოცა ოთხმოცი წლის იუბილე აკაკი ხორავას სახელობის დრამატული თეატრის კედლებში.(ორგანიზატორობა თავად ვითავე)

სენაკი მოეფერა, გულში ჩაიკრა და უთხრა სამადლობელი იმ დიდი სიყვარულისთვის, რომელსაც გულით დაატარებდა პოეტი ქალბატონი.

დიდი ხანია ბიეტა აბშილავამ გაგვანებივრა თავისი არაჩვეულებრივი შემოქმედებით და ხანდისხან ბოლომდი ვერ ვამჩნევთ მის ბრწყინვალებას, ამიტომ მშურს იმ ადამიანების, რომლებიც მუდამ ბიეტა აბშილავას გვერდით იყვნენ და მის სულიერ ამაღლებას იზიარებდნენ.

ჩვენ ერთად დავესწარით დიდი მთარგმნელისა და პოეტის, ქართულ- ებრაული ურთიერთობის დიდი მოამაგის, ჯემალ აჯიაშვილის სამოცი წლის იუბილეს მწერალთა სახლში. სადავ შეკრებილი იყო საქართველოს ლიტერატურული ელიტა.

იუბილის დასრულების შემდეგ ჯემალისთან ერთად გადავიღეთ სურათი, რომელიც ამშვენებს ჩემს არქივს. (და ვთავაზობ მკითხველს) თუმცა ბიეტას თითქმის ყველა ლექსების კრებულს ინახავს ჩემი ბიბლიოთეკა და ფოტო არქივს ავსებს მასთან გადაღებული სურათები.

სახელოვანი მწერალი რევაზ მიშველაძე ერთგან წერს: "ბიეტა აბშილავა ჩვენი ლიტერატურული ოჯახის მოკრძალებული წევრია. ამ კეთილშობილ კოლხ ასულს მამულისა და მისი გამორჩეული შვილთა სიყვარულით უდგას სული. ბიეტას, მუდამ გატაცებულსა და მოფუსფუსეს, ლექსების წერის გარდა მამულს იმითაც ემსახურება, რომ ხატავს, ქარგავს. ამას წინათ ქართველ მწერალთა პორტრეტებისა და ავტოგრაფების ნაქარგი ილუსტრაციების მშვენიერი ალბომი გამოსცა"

ლიტერატორი მურად მთვარელიძე წერს "ბიეტა აბშილავას ლექსი, მისი ჟღერადი, სადა მაგრამ დიდი გრძნობით აღსავსე სტრიქონები მხატვრული თვალსაზრისითაც გამართული და სრულყოფილია, ხოლო აზრის თავისთავადობა მას ადვილად უხსნის გზას მკითხველისაკენ"

მახსენდება სამების ტაძარში მოწყობილი მისი ნაქარგების გამოფენის დასასწრებად სენაკიდან თბილისში ჩავედი და სიტყვითაც მივმართე სტუმრებს. თვალები უხურდა და ყველას მადლობით უხრიდა თავს მისი უნიკალური შრომის დაფასებისთვის. ითხოვდა ფინანსურ ხელშეწყობას, რომ გაეგრძელებინა უჩვეულო და საინტერესო საქმიანობა. სამწუხაროდ არ გამოჩნდნენ გულმხურვალე ადამიანები, რომლებიც მისცემდნენ საშუალებას უნიკალური, კლასიკური ლიტერატურის ტექსტები ქარგვით ტილოზე გადაეტანა.

მიუხედავად ყველაფრისა რაც ქალბატონმა ბიეტამ დაუტოვა საჩუქრად ქართველ მკითხველს არის შესანიშნავი და მორიგი ლამაზი ფურცელები პოეზიის ლაბირინთში.

მისი ოცზე მეტი ლექსზე დაიწერა მუსიკალური კომპოზიცია და აჟღერდა.

დედაქალაქში დამკვიდრებულმა სიცოცხლის ბოლო წლები საყვარელ ხალხთან და სენაკთან გაატარა, ანუ სამუდამოდ დაბრუნდა შინ.

ამიერიდან მშობლებისა და ძვირფასი ძმის, ნოდარის გვერდით დაიდო ბინა.

მადლობას გიხდი ქალბატონო ბიეტა იმისათვის, რომ ყოველი ჩვენი შეხვედრა რაღაცით გამორჩეული და მნიშვნელოვანი იყო.

ნეთელში იყოს თქვენი სული.

,, ისევ თამამია, ისევ ამაყია,
ჩემი ნებიერა, ჩემი ანგელოზი...
ჩემი საფიცარი, ჩემი საწუხარი.
არის დამამშვენი მთელი საწუთროსი,
ჩემი სატკივარი, ჩემი სალაღობო.
ჩემი საქართველო, ჩემი ძველი ერი...
ღმერთო ! დაიფარე განსაცდელისგან,
მიეც წარმატება, მრავალჟამიერი ! "

ბორის დავითაია,
საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი,
სენაკის საპატიო მოქალაქე

სარედაქციო ჯოლეგია
მთავარი რედაქტორი ნინო სართანია
რედაქტორი მედეა ბალთუერია
ჯორესპონდენტები: მაია გერგაია, გიორგი გარუჩავა
ეკონომიკური სამსახურის სპეციალისტი ჭულიეტა ჩაჩიბაია

რედაქციის მისამართი:
სენაკი, რუსთაველის ქ. №235
რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით, არ გამოხატავს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ინტერესებს.
ინდექსი 66529

რეგისტრირებულია სენაკის სასამართლოში
რეგისტრაციის №56/7-17
გაზეთი კომპიუტერზე აიწყო, დაკაბადონდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა შპს „ხოლი ენ"
ქ. ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 33